745ა/10872
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 9 (36)

1 მაისი, ოთხშაბათი 1991



## სამაჩაბლოს მოსახლეობამ, საქართველოს სახალხო ფრონტმა და საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

# ნოდარ ნათაძე

ნოდარ ნათაძის პრინციპები დღევანდელი საქართველოს მართვისათვის შემდეგია:

1. მტკიცე პოზიცია საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, პირველ ყოვლისა — საბჭოთა კავშირის ცენტრის მიმართ, რომლის სამხედრო ნაწილები დღეს შიდა ქართლში მოქმედებენ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.

2. დემოკრატია და პოლიტიკური შემწყნარებლობა, მრავალპარტიულობის შეუზღუდველი დაშვება; საქართველოს მართვის ორგანოების დაკომპლექტება მხოლოდ პიროვნებათა პროფესიული კომპეტენციის, მოქალაქეობრივი პატიოსნებისა და პატრიოტული ერთგულების ნიშნის მიხედვით, პარტიული კუთვნილების განურჩევლად. ამგვარად, ერთი პოლიტიკური ბლოკის — „მრგვალი მაგიდის“ მიერ შემოღებული, პრაქტიკულად ერთპარტიული მმართველობის შეცვლა, რაც შედეგად მოიტანს საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალის ნაყოფიერ მონაწილეობას ქვეყნის მართვის პროცესში. სიტყვის, პრესის და ინფორმაციის სხვა საშუალებების ჭეშმარიტი თავისუფლება; დემოკრატიის განმტკიცება ადგილზე. პრეფექტთა უფლებების მკვეთრი შეზღუდვა, იმ მდგომარეობის შეწყვეტა, როცა პრეფექტის უფლებამოსილება აერთიანებს ყოფილი რაიკომის მდივნისა და აღმასკომის თავმჯდომარის ფუნქციებს.

3. აფხაზეთში და აჭარაში ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დემოკრატიული არჩევნების დროული ჩატარება ნორმალურ სამუშაო ვითარებაში.

4. მიწათმოქმედებისა და მიწათსარგებლობის ძირეული რეორგანიზაცია. იქ, სადაც არ არსებობს დამატებითი სირთულეები, საკარმიდამო და სამოსახლო ნაკვეთების დაუყოვნებლივ გაცემა და გაზრდა მაქსიმუმამდე, ხოლო დანარჩენი სავარგულის გაცემის წესის რეგულირებისათვის მიწის კანონმდებლობის სასწრაფოდ შემუშავება და მიღება.

5. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგილი მავნე, ეგრეთწოდებული საიჯარო ფორმებიდან თავისუფალ კერძო მიწათმფლობელობაზე გადასვლა და მისი სახელმწიფო ხელშეწყობა.

6. თავისუფალი კერძო მეწარმეობის დაუყოვნებლივ დაკანონება და მასში სახელმწიფოს ჩაურევლობის გარანტირება.

7. ეკონომიკური ინიციატივის განვითარება მოსახლეობის დაბეგვრისა და საწარმოთა გადასახადების მაქსიმალურად შემცირების ხარჯზე.

8. ფასების გონივრული პოლიტიკის გატარება და მოსახლეობის დაცვა ცხოვრების დონ[illegible] კატასტროფული და[illegible]გან.

9. უკიდურესად [illegible]
პირობებში ყო[illegible]
სავაჭრო-ე[illegible]
რესპუბ[illegible]

---

ეს ბოლო წლებია, კაცმაც და ბუნებამაც თითქოს ჩვენთვის მოიცალა: ზვავები, მეწყერი, წყალდიდობა...

და აი, 29 აპრილს კიდევ ერთი სტიქიური უბედურება — დამანგრეველი მიწისძვრა. ახალი მსხვერპლი...

**საქართველოს სახალხო ფრონტი, გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია** ღრმა სამძიმარს უცხადებს დაზარალებულთა ოჯახებს, მთელ ქართველ ხალხს.

გვჯერა, ამ უბედურებასაც ჩვენთვის ჩვეული სიმტკიცით გადავიტანთ...

სასოს ნუ წარიკვეთთ, ჩვენო დანო და ძმანო, მთავრობა, ხალხი, მთელი საქართველო ფეხზე დგას...

საქართველოს სახალხო ფრონტში 29 აპრილის ღამესვე შეიქმნა ჯგუფები დაზარალებულთა დასახმარებლად.

გაზეთ „საქართველოს“ დღევანდელი [illegible]
ლი ჰონორარი მიწისძვრ[illegible]
რების ფონ[illegible]

# „მრგვალი მაგიდის" წევრებს — საქართველოს უზენაესი საბჭოს უმრავლესობას!

ნოდარ ნათაძე

## (ღია წერილი)

ძვირფასო მეგობრებო!

ყველამ ვიცით, რომ საქართველომ ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ისტორიული მასშტაბის ნაბიჯები გადადგა თავისუფლებისაკენ. 1988 წლის 25 თებერვლის მასობრივი სამგლოვიარო მანიფესტაციით ქართველმა ხალხმა მკაფიოდ გამოთქვა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი. 1990 წლის 9 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ აღიარა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტი და ყველა იმ დოკუმენტის უკანონობა, რომლის ძალითაც საქართველო სსრკ-ს ნაწილი გახდა. 1990 წლის არჩევნებით საქართველოს მოსახლეობამ აირჩია ისეთი პარლამენტი, რომელსაც თავისი პროგრამის უპირველეს პუნქტად საქართველოს განთავისუფლება ჰქონდა. 1991 წლის რეფერენდუმით საქართველოს მთელმა მოსახლეობამ ნათლად უთხრა საკუთარ თავსაც და მსოფლიოსაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სურს. დასასრულ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მით ჩვენს თავისუფლებას საბოლოო იურიდიული გაფორმება მიანიჭა. რა თქმა უნდა, ის, რაც გაკეთდა, ყველა ქართველი პატრიოტის აზრისა და სულისკვეთების ერთობლივი გამოხატულებაა და საქართველოს ეროვნული ძალების ერთობლივი ძალისხმევის ნაყოფია: იმათიც, ვინც ცოცხალია, და იმათიც, ვინც ცოცხალი აღარაა; იმათიც, ვინც პარლამენტში იღვაწა, და იმათიც, ვინც ქალაქის ქუჩაში ან ქალაქის გარეთ გასულა ჩვენი უმაღლესი ინტერესების დასაცავად. ეს ჩვენი ყველაზე უფრო ერთობლივი და ყველაზე უფრო ძირეული ზრახვის განხორციელებაა და, ამდენად, ყველასათვის ცხადია, რომ ამას, ასეთივე სახით, გააკეთებდა ეროვნული ძალების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც კი ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა. სახელი და დიდება ყველას, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეთა შესრულებაში მონაწილეობა მიიღო!

მაგრამ ის, რაც მოპოვებულია, რაღა თქმა უნდა, ჯერ საბოლოო გამარჯვება არაა. იურიდიული აქტი, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ჩვენს ფაქტობრივ განთავისუფლებას. ჯერ კიდევ მრავალი განსაცდელი გვიძევს წინ, ჯერ კიდევ მრავალი ბრძოლა გველის ვერაგსა და ძლიერ მტერთან, რომელსაც ჩვენს დამონებაზე და ჩვენი მიწა-წყლის მიტაცებაზე ხელის აღება არ სურს. ჩვენ გვმართებს უდიდესი სიმტკიცე და უდიდესი სიბრძნე, რათა ბრძოლა, რომელიც უკვე დაწყებულია, მოვიგოთ, ამასთან, მოვიგოთ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად.

დღეს საქართველოს ბედი ჩვენი უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ხელშია. ჩვენს ხელთაა მოქმედების ის გზა, რომელსაც დაადგება ჩვენი ქვეყანა თავისი სახელმწიფო აპარატით, თავისი მატერიალური რესურსებითა და შესაძლებლობებითურთ. ეს გზა სწორადაც შეიძლება იქნას არჩეული და მცდარადაც. დღეს ვერ დავიჩივ[illegible] იმაზე, რომ ვინმე გვიშლის [illegible]

დღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობა თქვენ ბრძანდებით. მაშასადამე, სწორედ თქვენ — ყველას ერთობლივად და თითოეულს ცალ-ცალკე — გაკისრიათ უპირველესი ვალდებულება, რომ საქართველო სწორად მართოთ. ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს რომელსამე წევრს თქვენზე ნაკლები ვალი აძევს. (ცხადია, თუ უზენაესი საბჭო თავის საქმეს ვერ გაუძლვა, სამარცხვინო ბოძზე გასაკრავნი ყველანი ვიქნებით: უმრავლესობაც, რომელმაც არასწორი გადაწყვეტილებები მიიღო, და უმცირესობაც, რომელმაც ეს დაუშვა), მხოლოდ იმის თქმა მინდა რომ ჩვენთვის, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებისათვის, მართალი სიტყვის თქმა მხოლოდ მორალური მოვალეობაა, რომლის მოხდასაც შესაძლოა პრაქტიკული შედეგი ვერ მოჰყვეს. თქვენთვის კი, ვისი ერთობლივი აზრიც უზენაეს საბჭოში ყოველთვის იმარჯვებს, ეს მორალური მოვალეობა ამავე დროს პრაქტიკულიც არის: თქვენი ერთობლივი ხელის აწევა რეალურად წყვეტს საქართველოს ბედს და, ამდენად, თქვენი აწეული ან დაშვებული ხელი რეალური ძალაა საქართველოს დღევანდელ ცხოვრებაში. თავს უფლებას ვაძლევ, ეს მარტივი ჭეშმარიტება შეგახსენოთ, ვინაიდან საპარლამენტო გადაწყვეტილებათა სიზუსტე დღეს და მომავალში ჩვენი გამარჯვების აუცილებელი პირობაა, ხოლო აბსოლუტური პირუთვნელობა ერთმანეთის მიმართ, როგორც დეპუტატთა შორის, ისე პოლიტიკაში ჩაბმულ სხვა პირთა შორის — სწორ საპარლამენტო გადაწყვეტილებებამდე მისვლის აუცილებელი პირობაა.

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი ჩემი დღევანდლამდე დაკვირვებების საფუძველზე, რომ თქვენ, ჩვენი უზენაესი საბჭოს მრგვალმაგიდისეული უმრავლესობა, თქვენს მოვალეობას ყოველთვის ისე ასრულებთ, როგორც ამას საქმის ბრძნულად განჭვრეტილი ინტერესები მოითხოვს. მეტსაც მოგახსენებთ: შეუძლებელია პარლამენტში ბრძნული გადაწყვეტილების მიღება რთულ პრობლემაზე, თუ მასში აზრთა ჭიდილი არაა, და ძალიან იშვიათად თუა შესაძლებელი, სწორი გადაწყვეტილება მოინახოს, თუ აზრთა და პოზიციათა გაყოფა ხმათა გაყოფაშიც არ აისახა. დღეს საქართველოს უზენაეს საბჭოში აზრთა სხვაობა კი არსებობს, მაგრამ ხმების დათვლა ჯამში ყოველთვის იმ გადაწყვეტილებას იძლევა, რომელიც თავმჯდომარის მიერ (ან დარგობრივი კომისიის მიერ) იყო შემოთავაზებული, ან რომელსაც ბ-ნი ზ. გამსახურდია დაეთანხმა. ამგვარ ერთსულოვნებას უკრიტიკო ერთსულოვნება ჰქვია. როგორც ცნობილია, იგი ქვეყნისათვის სასარგებლო არასოდეს ყოფილა და ვერც იქნება. ამიტომაცაა, უთუოდ, რომ იმ ექვსიოდე თვეში, რაც ჩვენი უზენაესი საბჭო არსებობს, მან ზემოხსენებული დიდებული დოკუმენტების შექმნასთან ერთად უკვე არაერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის შეცდომა დაუშვა. ეჭვი გეპარებათ? მაშ საკუთარი კრიტიკული განსჯით მომეცით (ან თქვენს თავს მაინც მიეცით) რამდენიმე კითხვის პასუხი, რომლებიც თქვენ[illegible] საპარლამენტო უმრავლესობა...

...ტის შემოსვლა დღეს საქართველოს უბედურების ზღვას უქადის)? როგორ და რატომ მოხდა, რომ დღეს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე „ცხელი" ადგილიდან — ცხინვალიდან — გამოყვანილ იქნა მილიცია? რატომ და რა ტაქტიკური მოსაზრებით იდება არათანასწორუფლებიანი შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და რსფსრ-ს შორის, რომელიც უფლებას აძლევს ამ უკანასკნელს, ჩვენს ტერიტორიაზე იმოქმედოს ბანდების განიარაღების მიზნით? (აქ აღარ ვკითხულობ: ვინ და რა მოტივით ურჩია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ქართველ დეპუტატებს, დეკემბრის სესიაზე ხმა მიეცათ ჩვენი საერთო საქმისათვის მავნე კონსტიტუციური ცვლილებებისათვის, რომელთა მიღებასაც ხმათა ორი მესამედი, მაშასადამე — ქართველ დეპუტატთა ხმებიც ესაჭიროებოდა). თუ ამ კითხვათა პასუხი გეგულებათ, გვიბრძანეთ იგი! ხოლო თუ არ გეგულებათ, მაშინ რატომ უწევთ ხელს იმ დადგენილებას, რომელშიც სისწორეს ვერ ხედავთ, და რა პასუხს აძლევთ ქვეყანას, რომელიც თქვენგან სწორ მართვას მოელის?

ეს, რაც შეეხება შეცდომებს, ანუ იმას, რაც უზენაეს საბჭოს არ უნდა გაეკეთებინა, ან სხვანაირად უნდა გაეკეთებინა, ვიდრე გააკეთა. ახლა, პატივცემულო დეპუტატებო, გკითხავთ იმის თაობაზე, რაც საბჭოს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ არ გააკეთა.

გთხოვთ მიბრძანოთ: სწორია ის, რომ სოფლის მეურნეობა, ანუ საქართველოს გამოკვების ძირითადი წყარო, ამ ექვსი თვის მანძილზე, რაც ახალი უზენაესი საბჭო არსებობს, ფაქტობრივად, ურეფორმოდაა დატოვებული? განა მოგებულნი არ ვიქნებოდით, იმ რაიონებში, რომლებიც დამატებით სირთულეებს არ შეიცავენ, თუკი მიწის საბოლოოდ დარიგებას, ვერ მოვასწრებდით, ის მაინც მოგვესწრებინა, რომ საკარმიდამო და სამოსახლო ნაკვეთები იმ მაქსიმუმამდე მაინც შეგვევსო, რასაც არსებული კანონი უშვებს? ნუთუ თქვენ დაგაკმაყოფილათ სესიაზე გაცემულმა პასუხმა, ამას ვერ ვიზამთ ამა და ამ კანონის შემოღებამდეო, და ვერ გათვალეთ, რა ეკონომიკური და არაეკონომიკური პერსპექტივები იმალებოდა ამ წინადადებაში? მოგწონთ ის, რომ მართვის სოციალისტური პრინციპები საქართველოში ჯერჯერობით ხელშეუხებელია, შეცვლილია მხოლოდ სტრუქტურები და სახელები („პრეფექტი" „მდივნის" ნაცვლად)? არ მოგდით აზრად, რომ მიუხედავად ზოგი პრეფექტის უაღრესი პიროვნული ღირსებებისა (რომელთაც დიდი მოწიწებით შევცქერი), თვით სტრუქტურა „აქეთ — ყოვლისშემძლე აპარატი, იქით — პოლიტიკურად, სოციალურად და ეკონომიკურად პასიური მოსახლეობა" თავისი არსით სოციალისტურია? კიდევ მაგალითს მოვიყვან. ზოგმა თქვენგანმა მაინც (თუ ყველამ არა) იცით, რომ ცხინვალის რეგიონში დღეს ბანდიტებისაგან ალყაშემორტყმულია და ქვეყანას მოწყვეტილია (ისე, რომ ვერც ექიმი შევა და ვერც ავადმყოფი გამოვა) რვა ქართული სოფელი: თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, სვერი, ქემერტი, ძარწემი და ზემოთი. იმასაც საკუთარი თვალით ხედავთ და ყურით ისმენთ, რომ [illegible] ინფორმაციის სა-... „გრემია"...

...სა) ბოლო დრომდე არც ერთხელ არ გამომჟღავნა (ახლა კი ოდნავ გამოჟღავნა) ამ რვა სოფლის ალყის თემა. არც მსოფლიომ, არც საქართველოს მოსახლეობამ (გარდა ცხინვალის მიმდებარე რეგიონებისა) არ იცის, რომ ოსური ბანდები, რომლებიც დღეს მოქმედებენ, ნახევარზე მეტად და ეგებ ცხრა მეათედადაც არაადგილობრივებით არიან დაკომპლექტებულნი (ე. წ. „ჩრდილო" ოსეთიდან და სსრკ მთელი ტერიტორიიდან). თქვენ ხედავთ ჩვენს მიუტევებელ დამარცხებას (დღესდღეობით) საპროპაგანდო-საინფორმაციო ომში იმპერიის წინააღმდეგ. მე გეკითხებით: ნუთუ დასკვნას ვერ აკეთებთ, რომ უზენაესი საბჭოს საინფორმაციო ცენტრი, რომლის პირითაც საქართველო დღეს ელაპარაკება საკუთარ მოსახლეობას და მსოფლიოს, ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, და არ გიჩნდებათ მოვალეობის გრძნობა, რომ, როგორც უზენაესი საბჭოს წევრებმა, ამ პრესცენტრის [illegible]რადი შემადგენლობის შეცვლას, გაუმჯობესებას ან გაფართოებას მიაღწიოთ? ეძებთ თუ არა თქვენ, ხალხის რჩეულნი, როცა ერთად ბრძანდებით ან თქვენს თავთან მარტო რჩებით, იმ ახალი სისხლიანი და ვერაგული შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკას, რომელსაც დღეს იმპერია ეწევა ჩვენი ქვეყნის მიმართ? თუ არ ეძებთ, მაშინ რა უფლებით თვლით თავს ხალხის რჩეულებად? ხოლო თუ ეძებთ, ნუთუ თქვენი მაღალი გონება და ცხოვრების გამოცდილება არაფერს გკარნახობთ იმის გარდა, რასაც უზენაესი საბჭოსა და მისი სათანადო კომისიების ხელმძღვანელებისაგან ისმენთ?

აქ აღარას ვამბობ თქვენი პოლიტიკური მოღვაწეობის იმ ნაწილზე, რომელიც მართვის დემოკრატიული მექანიზმების დაცვას შეეხება. ბევრი ფიქრობს (და ამბობს კიდეც), რომ დემოკრატია სისუსტის წყაროა. მე, პირიქით, იგი სიძლიერის წყარო მგონია (სხვა თუ არაფერი, იმიტომ მაინც, რომ დემოკრატიის გარეშე ადამიანთა პროფესიული და პიროვნული ზრდა არ ხდება). დიდად სამწუხაროა, რომ ამ მარტივ ჭეშმარიტებას თქვენთვის შეხსენება სჭირდება!

სამწუხაროდ, იძულებული ვარ მორალური ხასიათის კითხვებითაც მოგმართოთ. არ გაწუხებთ, რომ ქართველი ჯარისკაცი, რომელიც გამოექცა დამამცირებელ წამებას საბჭოთა არმიაში და თბილისში იმყოფებოდა, მილიციის თანამშრომლებმა აზრუმიანმა და საფაროვმა მოტყუებით გამოიყვანეს სახლიდან, ჯვარდიაში უნდა მიგიყვანოთო, და სამხედრო პროკურატურას ჩააბარეს? თუ ეს იცით, რატომ არ ეძებთ ამ დანაშაულის პასუხს? კიდევ გკითხავთ: გაწუხებთ თუ არა, რომ თქვენს ძვირფას სიცოცხლეს, როცა უზენაესი საბჭოს შენობაში იმყოფებით, ერთობ ინტენსიურად იცავენ (ვისგან — ღმერთმა უწყის), იმ დროს როცა შიდა ქართლის ქართველი სოფლების მოსახლეობას ქართველის სისხლს მოწყურებული ბანდების პირისპირ თავისი ცოლ-შვილის დასაცავად ფილთა თოფიც კი ათასში ერთს თუ აქვს? კიდევ კითხვა: არ გაწუხებთ, როგორც მოქალაქეებს, ის ფაქტი, რომ უზენაესი საბჭოს სხდომები უმრავლეს შემთხვევაში დახურულია და ქვეყანა ვერ ხედავს, როგორ წყდება თქვენს მიერ მისი ბედი?

...ქმული. (სხვას ყველაფერს ...

მე მგონი, იმის საილუსტრაციოდ, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო სათანადოდ **ვერ იყენებს** ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობის გამოსწორების იმ შესაძლებლობებს, რაც დღეს გვაქვს. შეგახსენებთ, რომ ამ შესაძლებლობათა ნაყოფიერი გამოყენება (50%-ით მაინც) პარლამენტის წევრისათვის გმირული ღვაწლი კი არაა, ან სახელის მომხვეჭი საქმე, არამედ **პირდაპირი მოვალეობაა**, ხოლო ამ საქმის ვერშესრულება — ამ მოვალეობის ნებსითი თუ უნებლიე ღალატი. თავს უფლებას ვერ მივცემ, თქვენს დღევანდელ მოღვაწეობას უზენაეს საბჭოში რაიმე კვალიფიკაცია მივცე, მაგრამ იმის უფლებას კი მივცემ, მოგიწოდოთ, ახლა მაინც გადავდგათ ის ნაბიჯები, რომელიც ჩვენი ქვეყნის გადარჩენას ესაჭიროება. სახელდობრ:

1. როგორც მოგეხსენებათ, დღეს ცხინვალის დესტაბილიზაციას და ქართველი მოსახლეობის სიცოცხლის ხელყოფის ატმოსფეროს ქმნის, პირველ ყოვლისა, სსრკ შეიარაღებული ძალების მოქმედება, რომლებიც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელს — მილიციას — არ აძლევენ ბანდიტების განიარაღების საშუალებას, ხოლო ბოლო ხანებში თვით მილიციასაც იარაღს ჰყრიან და ატყვევებენ. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დააფიქსიროს ეს ვითარება ოფიციალურად. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა აბსტრაქტული განცხადების სახით, არამედ სსრკ მთავრობისადმი **ნოტის** სახით. ამასთან, მან უნდა აღნიშნოს ამ ნოტაში, რომ თუ სსრკ შეიარაღებული ძალების ახალი კონტიგენტები არ დატოვებენ ცხინვალის რეგიონს განსაზღვრულ ვადაში, საქართველოს ხელისუფლება ამას მიიჩნევს **საქართველოზე შეიარაღებულ თავდასხმად,** აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

2. როგორც მოგეხსენებათ, სსრკ მთავრობა არ ცნობს არც ჩვენს ეროვნულ გვარდიას, არც, მით უმეტეს, სოფლელთა უფლებას, თავისი სიცოცხლე იარაღით დაიცვან. ყოველდღე შესაძლებელია, სსრკ შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლი გაუხსნან გვარდიელებსაც და ფილთა თოფებით შეიარაღებულ მოსახლეობასაც. საქართველოს ხელისუფლება მოვალეა, უშუალო მიმართვით აცნობოს სსრკ ხელისუფლებას, აგრეთვე მსოფლიოს სხვა ქვეყნებს, რომ გვარდია ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალაა, ხოლო სოფლის აქტივისტები, რომლებიც მოსახლეობას იცავენ — საქართველოს სახელმწიფოს (ანუ სამშობლოს) დამცველი პიროვნებები, და როგორც ერთზე ისე მეორეზე თავდასხმა სსრკ-ს რეგულარული ჯარის მხრიდან, საქართველოზე თავდასხმაა.

3. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიმართოს გაეროს კონკრეტული **თხოვნით** საქართველოში, ცხინვალის რეგიონში კომისიის გამოგზავნის თაობაზე.

4. ცხინვალის რეგიონში მომხდარი დანაშაულებისა და „დანაშაულების" გამოძიების უფლება არა აქვთ სსრკ ორგანოებს. საქართველოს ხელისუფლებამ ეს ოფიციალურად უნდა თქვას და ოფიციალურად უნდა განაცხადოს, რომ, თუკი ვისმე შეიძლება მიეცეს ცხინვალის ამბების ძიების უფლება, საქართველოს პროკურატურის გარდა, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მიერ მოწვეული საერთაშორისო კომისია.

ვიმეორებ: ამ ნაბიჯთა არგადადგმა ერის ღალატის ტოლფასია.

ორიოდე წლის წინ საქართველოს ტელევიზიით, პროგრამა „ჰორიზონტში“ ნაჩვენები იქნა შესანიშნავი რეჟისორის მიხეილ რომის დოკუმენტური ფილმი „ჩვეულებრივი ფაშიზმი“.

მთელ საბჭოთა კავშირში ეს იყო ტელევიზიით ამ ფილმის პირველი ჩვენება. ხოლო „საკავშირო“ მასობრივ კინოეკრანზე არც მანამდე და არც შემდეგ არ უჩვენებიათ.

ერთობ უცნაური, პარადოქსული სიტუაციაა. ბრწყინვალე ანტიფაშისტური ფილმი თაროზეა შემოდებული იმ ქვეყანაში, სადაც ყოველი ხუთი ფილმიდან ლამის ოთხი „ომზეა“ გადაღებული, ანტიფაშისტური ხასიათისაა.

ამ პარადოქსის, საიდუმლოს გასაღები თავად ფილმში ძევს.

ფილმს „ჩვეულებრივი ფაშიზმი“ კი ჰქვია, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა „ჩვეულებრივი კომუნიზმი“ დარქმეოდა.

ნაწარმოებში გადმოცემულმა ფაშისტური იდეოლოგიის პოსტულატებმა, შესანიშნავად შერჩეული მასალის საფუძველზე ნაცისტური გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (პოლიტიკა, ეკონომიკა, ბავშვთა აღზრდა, განათლება, ხელოვნება) გაბატონებული სისტემის ჩვენებამ, რეჟისორის ქვეტექსტებით სავსე, მახვილგონიერმა კომენტარებმა შეუძლებელია მაყურებელს არ გაახსენოს კომუნისტური იდეოლოგია, სოციალისტური „სამოთხე“, შეუძლებელია არ დაანახვოს ამ ორი იდეოლოგიის, სისტემის საოცარი მსგავსება. უფრო მეტიც, აგრძნობინებს, რომ ისინი ფაქტობრივად „ერთი მედლის ორ მხარეს“ წარმოადგენენ.

მართლაც, ამ ორ „იზმს“, მათ მოციქულებს ანათესავებდათ არა მარტო ერთნაირი სიყვარული მასობრივი ტერორის, რეპრესიების, საკონცენტრაციო ბანაკების (სამართლიანობა ითხოვს ითქვას, რომ ამ ბანაკების შექმნის პრიორიტეტი ლენინს, კომუნისტებს ეკუთვნოდათ) მიმართ, არამედ ასევე ერთნაირად, დემაგოგიურად, მუშათა, მშრომელთა, საერთოდ მთელი ხალხის სახელით ლაპარაკი, მათი ინტერესების უპირველესი და ერთადერთი დამცველ-გამომხატველის როლის დაჩემება.

(ამ „ნათესაობის“ არსს კარგად გამოხატავს ზოგიერთი ცალკეული დეტალიც. თავდაპირველად იტალიის სოციალისტური პარტიის წევრი იყო „პირველი ფაშისტი“ — ბენიტო მუსოლინი; ომამდე ერთმანეთის პიროვნებით, პრაქტიკული მოღვაწეობით მოხიბლულნი იყვნენ სტალინი და ჰიტლერი; კომუნისტებისა და ყოველგვარი კომუნისტურის „მოძულე“ ფაშისტებმა უკრაინის ოკუპაციის შემდეგ არ გააუქმეს დიდი „კომუნისტური გამოგონება“ — კოლმეურნეობები...).

ფაშიზმისა და კომუნიზმის „ნათესაობაზე“ დღეს არა მარტო დასავლეთში, საბჭოეთშიც იწერება. და არა მარტო იწერება. საკმარისია ითქვას, რომ ხმარებაში შემოვიდა ტერმინები „წითელი ფაშიზმი“, „წითელი ფაშისტი“...

ამ ტერმინებს, ცნებებს ძირითადად იყენებენ დემოკრატები ტოტალიტალური რეჟიმის აღდგენაზე შეოცნებე-მოშუშავეთა, სამხედრო ისტებლიშმენტის ტრუბადურთა, ნეობოლშევიკთა მიმართ, მათი პრინციპების „ხალანძღავად“.

და ასეთი ტერმინები „ლანძღვა“, რასაკვირველია, სწორად გამოხატავს „გალანძღულთა“ კრედოს, მათს „დაუთმობელ პრინციპებს“, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ტერმინთა ხშირი გამოყენება ერთგვარ საშიშროებასაც შეიცავს, კერძოდ, მათ მსმენელი, მკითხველი „სხვა ტალღაზე“ გადაჰყავთ, იწვევს რა ადამიანთა ცნობიერებაში ზემოაღნიშნული „ნათესაობის“ დარღვევას. ისეთი წარმოდგენა იქმნება, თითქოს ფაშიზმი და „კომუნიზმი („კომუნიზმში“ ვგულისხმობ არა იმ „ნათელ, ბედნიერ მომავალს“, რომლის აშენებასაც კომუნისტები გვპირდებოდნენ, არამედ ამ ცნების დასავლურ გაგებას — „რეალურ სოციალიზმს“, „რეალურ“, „დღევანდელ“ კომუნისტურ იდეოლოგიასა და პრაქტიკას) სხვადასხვაა, ბევრი არაფერი აქვთ საერთო.

არადა, რამ გაყო ერთმანეთისაგან ეს მართლაც „სიამის ტყუპები“ (მიუხედავად მათი ერთმანეთისადმი მტრული დამოკიდებულებისა)!

ახე რომ, არ ღირს ზედმეტი „გამუქება“; მაგალითად, 9 აპრილს თბილისში წითელარმიელები მოიქცნენ არა მაინცდამაინც ფაშისტურად, როგორც ხშირად იწერება ჩვენში — არამედ, სწორედ რომ კომუნისტურად; გენერალი როდიონოვი „ფაშისტი გენერალი“ კი არა, „კომუნისტი გენერალია“, გორბაჩოვი — „კომუნისტი პრეზიდენტი“ და ა. შ.

მითუმეტეს, რომ „ვამბობთ კომუნისტს, და ვგულისხმობთ ჩვენ მუდამ ფაშისტს!...“

●

გაზეთ „სობესედნიკის“ ამა წლის მე-7 ნომერში რუბრიკით „რა ფერისაა მიხაკისფერი ჭირი?“ დაიბეჭდა მეტად საყურადღებო ინტერვიუები ისტორიის მეცნიერებათა დოქტორთან, გერმანული ფაშიზმის მკვლევართან ლევ გინცბერგთან და საკავშირო ანტიფაშისტური ცენტრის თავმჯდომარესთან ევგენი პროშეჩკინთან.

გთავაზობთ ნატყვეტებს ამ საუბრებიდან; აგრეთვე აქვე დაბეჭდილ „ფაშისტურ-კომუნისტურ“ „შტრიხს“ და გაზეთ „დაიჯესტში“ (№ 5) გამოქვეყნებულ ილგონის ბიტეს წერილს „თითოეული ყველას ეკუთვნოდეს?!“ (შემოკლებით).

# ჩვეულებრივი ფაშიზმ-კომუნიზმი

**ლევ გინცბერგი:**

„...ფაშიზმი შეიძლება აღმოცენდეს პრაქტიკულად ყოველგვარ სოციალურ ბაზისზე. აღმოსავლეთ ევროპის ტოტალიტარული სტრუქტურები — განა ეს ფაშიზმი არაა? მისი ნიშნები სახეზეა: იდეოლოგიური დიქტატი, არასასურველ პიროვნებათა ფიზიკური მოსპობა, მასობრივი ისტერიის წაქეზება და პროვოცირება... ფაშიზმი თუ არა, მისი ელემენტები მაინც ძევს ყოველ ტოტალიტარულ სტრუქტურაში. მარქსისტული ისტორიოგრაფია იქიდან ამოდიოდა, რომ ფაშიზმი გაბატონებული კლასების იარაღია (ანდა მთლად უარესი — „კაპიტალის მაგნატების“ იარაღი), მიმართული დემოკრატიის გასანადგურებლად. სინამდვილეში კი ფაშიზმით შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ საზოგადოების სხვა ძალებიც, თუკი მისთვის საჭირო წანამძღვარი პირობები არსებობს ქვეყანაში. პირველ ყოვლისა, ეს ეკონომიკური კრიზისია...

ჩვენთან ღრმავდება ეკონომიკური კრიზისი, ვდგავართ მასობრივი უმუშევრობის ზღურბლთან, და თუ ზომები არ მივიღეთ, სწორედ უმუშევრები შეიძლება გახდნენ უაქტიურესი სოციალური ძალა...

...ფაშიზის წანამძღვრებია აგრეთვე მარტივი, პრიმიტივიზებული იდეოლოგიის მქონე პარტიის ან მოძრაობის არსებობა, ერთადერთი დამნაშავის „აღმოჩენა“. მთავარია მოწინააღმდეგის, მტრის პოვნა, დამნაშავეთა აღმოჩენის მოყვარულები კი ჩვენში მრავლად არიან. ჰიტლერის მიხედვით ხალხის მთავარი მტრები ებრაელები და კომუნისტები იყვნენ. ნამდვილად კი, რასაკვირველია, მოწინააღმდეგედ, მტრად ითვლებოდა ყველა სოციალ-დემოკრატი, და საერთოდ ყოველგვარი დემოკრატი, პარტიული კუთვნილების მიუხედავად. ძალიან ძნელია, განუმარტო ხალხს თუ ვინაა ჭეშმარიტი დამნაშავე მის უბედურებაში, გაცილებით ადვილია თითით აჩვენო „უცხოსაკენ“...

...რეაქციის კავშირი არმიასთან, განსაკუთრებით ქვეყნისათვის გარდამავალ ეტაპზე — ყველაზე დიდი საშიშროებაა. გაიხსენეთ ჰიტლერი: მან საოცრად ადვილად ჩაიგდო ხელში ძალაუფლება სწორედ ზემოაღნიშნული პირობების, წანამძღვრების არსებობის გამოც. ხოლო რაც შეეხება „საჭირო პარტიის“ საკითხს, მემარჯვენეები იმით განსხვავდებიან მემარცხენეებისაგან, რომ მეყსეულად შედიან ერთმანეთთან ბლოკში, ივიწყებენ რა ურთიერთწინააღმდეგობებს. ამისათვის მხოლოდ შესაფერისი ბიძგი სჭირდებათ...



ჩვენი ადამიანები იმდენად დაიღალნენ არასტაბილურობისაგან, შიმშილობის საფრთხისაგან, მომავლის წინაშე პანიკური შიშისაგან, რომ სტაბილურობის გულისათვის ყველაფერზე თანახმა იქნებიან, ყველაფერზე წავლენ, თუნდაც შემდგომში განადგურებულნიც რომ იქნენ იმავე ძალის მიერ, რომლის მოსვლასაც ხელისუფლებაში, დღეს, შესაძლოა, მიესალმონ კიდეც, როგორც ეს მოხდა გერმანიაში...

...ჩვენმა დემოკრატებმა უნდა დაივიწყონ ყოველგვარი ურთიერთშეუთანხმებლობა კერძო საკითხებში, რათა რაც შეიძლება მალე მიაღწიონ თანხმობას მთავარ საკითხებში, და ყურადღებით ადევნონ თვალი ყველაფერს, რაც მემარჯვენეთა ბანაკში ხდება, რამეთუ საშიშროება ერთობ რეალურია, რამეთუ ფაშიზმის საფრთხე უკვე რეალურად ემუქრება ჩვენს საზოგადოებას...

●

**ევგენი პროშეჩკინი:**

ჩვენი ანტიფაშისტური ცენტრი 1989 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა. გაოცებას ვერავინ ფარავდა — რისი ანტიფაშისტური ცენტრი, ეს რა პროვოკაციული სახელწოდებააო... არადა, ჩვენ დავამარცხეთ გარეშე ფაშიზმი, მაგრამ შინა ფაშიზმი (სტალინიზმი იგივე ფაშიზმია), სამწუხაროდ, დარჩა.

საკავშირო ანტიფაშისტური ცენტრი ფაშიზმად მიიჩნევს ტოტალიტარული დიქტატურის ყოველგვარ ფორმას. ჰიტლერი, სტალინი, მაო ძე დუნი, კიმ ირ სენი, მუსოლინი... ყველა ესენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი „სტილის“ დიქტატორები არიან... მართალია, კაცობრიობის ისტორიაში უამრავი სისხლიანი რეჟიმი არსებობდა, მაგრამ ყველა მათ შეიძლება ვუწოდოთ ფაშისტური...

...ფაშიზმი მაშინ მყარდება, როცა მოსახლეობა მასობრივად უჭერს მას მხარს. სწორედ ასეთი მხარდაჭერის წყალობით ედგა სული გერმანიაში მიხაკისფერ ფაშიზმს, რუსეთში კი — წითელს...

ჩვენი ცენტრი შეისწავლის ისეთ დაჯგუფებებს, ტოტალიტარიზმისაკენ, ფაშიზმისაკენ რომ არიან მიდრეკილნი. ესენია: „პამიატის“ ყველა განშტოება (არავითარი ჯანსაღი ძალები არცერთ მათგანში არაა), „ოტეჩესტვო“ (შედარებით რაფინირებული, კულტურული „პამიატი“), სტალინური ორგანიზაცია „მშრომელთა გაერთიანებული ფრონტი“, „ერთობა ლენინიზმისა და კომუნისტური იდეალებისათვის“ (ნინა ანდრეევას მეთაურობით), რუსეთის მწერალთა კავშირი, პოლოსკოვის კომპარტია და უამრავი სხვადასხვა რეგიონული ორგანიზაცია...

...როგორ, რით ახერხებენ ფაშისტები ძალაუფლების ხელში ჩაგდებას? ქვეყნის, ხალხის ცხოვრებისეული პრობლემების მარტივი გადაჭრის პროპაგანდის წყალობით. სხვა რჯულის ხალხი, სხვაგვარად მოაზროვნენი — კედელთან, ხალხს რომ ხელს არ უშლიდნენ! შრომა? რისთვის, როცა შეიძლება ექსპროპრიაციის ჩატარება! დღეს ჩვენშიც მეტისმეტად დიდია პრობლემათა ამგვარად, მარტივად გადაწყვეტის ცდუნება...

რასაკვირველია, ისტორიულად ტოტალიტარული ძალების დღეები დათვლილია. თუნდაც იმიტომ, რომ წარმოების თანამედროვე დონე ვერ ეგუება იძულებით, არანაყოფიერ შრომას. ამიტომ ყველა ჯურის ფაშისტებისათვის გამოსავალი ერთია — პროგრესის შეჩერება, თუ მოხერხდა, კაცობრიობის სულაც უკან მიბრუნება... მათი კერპია არა საყოველთაო კეთილდღეობა, არამედ პირადი ძალაუფლება და ხალხის მხრიდან ბრმა თაყვანისცემა. ამის მოსაპოვებლად კი ისინი არაფერზე უკან არ დაიხევენ.

სწორედ ამიტომ გვაქვს დღეს საფუძველი შეშფოთებისათვის, სწორედ ამიტომ არის საჭირო ერთიანობა და სიმტკიცე ფაშისტური, ტოტალიტარული ჭირის წინააღმდეგ.

●

**შტრიხი**

1933 წელს გერმანიაში მიღებულ იქნა კანონი ხალხისა და სახელმწიფოს დაცვის შესახებ. აიკრძალა ანტისამთავრობო დემონსტრაციები, პოლიციამ მიიღო იარაღის გამოყენების უფლება. 1934 წელს, ახალი კანონის — „იმპერიის ახლებურად მოწყობის შესახებ“ — საფუძველზე გაუქმდა საკანონმდებლო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ცალკეულ მიწათა მთავრობები უშუალოდ დაუმორჩილეს ცენტრალურ ხელისუფლებას.

ჰიტლერულმა მთავრობამ შემოიღო ფასწარმოების ცენტრალიზებული წესი.

ჯერ კიდევ 1932 წელს, რაიხსტაგის არჩევნების დროს ქუჩებში პატრულირებისთვის გამოიყვანეს არმია.

ნაცისტებს უყვარდათ მორალისტებად თავის გასაღება, ნიღბავდნენ რა ამით თავიანთ ბრძოლას თავისუფლების ყოველგვარი გამოვლინების — კერძოდ, შემოქმედების, ხელოვნების თავისუფლების წინააღმდეგ. მხატვრობაში აიკრძალა შიშველი ნატურის ხატვა. პორნოგრაფიასთან ბრძოლის საბაბით მუზეუმებიდან გაჰქონდათ ცნობილ მხატვართა ტილოები.

●

**ილგონის ბიტე:**

...მოსკოვში სამ ათეულამდე სხვადასხვა ორგანიზაცია (რაღა თქმა უნდა, დეპუტატთა გაერთიანება „სოიუზის“, პოლოსკოველების, ინტერმოძრაობის, მშრომელთა გაერთიანებული ფრონტის მეთაურობით) მთელი ძალით იწევა სოციალისტური არჩევანისა და რესპუბლიკათა ერთიან[illegible] აგიტაციას..., ქვეყანა [illegible] კრიტიკულ წერტილამდეა მისული; კიდევ ნახევარი ნაბიჯი და დაიწყება „ანარქია და ქაოსი, „ღერძავას“ ნგრევა, სისხლისღვრა და სიღატაკე“. ამიტომ, მთავრობამ უნდა იმოქმედოს, და რაც შეიძლება მტკიცედ და მკაცრად.

კითხულობ ამგვარ დოკუმენტებსა და მოწოდებებს, თითქოსდა „ხალხის ინტერესებს“ რომ გამოხატავენ, და ტანში გზარავს: ყოველივე ეს ხომ სტალინიზმია, ფაშიზმია! არ შეიძლება არ გაგახსენდეს დოსტოევსკიც: თითოეული ეკუთვნის ყველას, ყველა კი — თითოეულს. ყველა მონაა და თანასწორნი არიან ამ მონობაში. ვისაც ამგვარი თანასწორობა არ მოეწონება — დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. მონები ერთნაირები უნდა იყვნენ. აი, მათი ლოგიკა. არცერთი სიტყვა საერთოსაკაცობრიო ღირებულებებზე, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე. აბა, წავითამაშეთ და საკმარისიაო. სწრაფად უკან, მშობლიურ წყობილებაში! თუ ეს შერეკვა არ მოხერხდება, საჭიროა იანისი მივუსიოთ ივანს, ჩესლავი აბრამს, ანდა, მთლად უკეთესი, განურჩევლად ყველანი დავაშინოთ ნაციონალიზმით, შოვინიზმითა და ცრუდემოკრატებით, რომლებსაც უნდათ მეორე ხარისხის ადამიანებად აქციონ ისინი...

ხოლო ჩვენ, ერთმანეთთან ანგარიშის სწორებით გართულნი, ვერც შევამჩნევთ, ისე აღმოვჩნდებით ურჩხულის ხახაში. უფლებას ვაძლევთ ისე მოგვცელონ ტყვიებით, რომ არც კი ვცდილობთ დავინახოთ, ჩვენი მსაჯულის მანტიაში მკვდარი იდეის მონა რომაა გახვეული. შემთხვევითი არაა, როგორც ჩვენთან, ბალტიისპირეთში, ისე მოსკოვში ამდენი „ხალხის ინტერესების“ დამცველი კომიტეტი რომ გაჩნდა, რომელთა ხელმძღვანელებიც ანონიმურად დარჩენას ამჯობინებენ. როგორც ჩანს, რცხვენიათ იმავე ხალხს თვალებში უყურონ.

ერთობ სწორად დაახასიათა ეს პოლიტიკური კარნავალი ალექსანდრ კაბაკოვმა: მთავარი ის კი არაა, დაკითხვაზე ვინ გიმტვრევს კბილებს, — აბრამი, პეტრისი თუ ივანი, არამედ ის, თუ რისი სახელით აკეთებს იგი ამას. ადამიანები ასდგნენ საძულველი ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ, მათ კი ცხვირში ჩრიან მეხუთე გრაფას, სადაც ეროვნება აღინიშნება... კონდახის სახეში ჩარტყმა, მუცელში ხიშტი შიშს თესავს, ხოლო სადაც შიშია — იქ ისევ ბრბო იქნება, ისევ გამოჩნდება არავისგან არჩეული „ბელადი“, რომელიც ჯერჯერობით პოლკოვნიკ-პროვოკატორების ზურგს უკან იმალება. ბრბოდ ქცეულებს კი, მოგვინდომებენ კვლავაც გვაქციონ „მსოფლიოში ყველაზე ბედნიერებად“.

ვლადიმერ ვოინოვიჩი, ავტორი სარკაზმით აღსავსე რომანისა „ჯარისკაც ჩონკინის ცხოვრება და არაჩვეულებრივი თავგადასავალი“, არ ეთანხმება სოლჟენიცინის მტკიცებას, რომ დემოკრატია — ეს არის უმრავლესობის ტირანია. სატირიკოსის აზრით იგი ენერგიულ ადამიანთა შეჯიბრია. საზღვარგარეთნაცხოვრებმა, მან, რასაკვირველია, იცის, რასაც ლაპარაკობს. ჩვენ ჩვენის მხრივ ერთობლივად უნდა ვეცადოთ, რომ დემოკრატიულ ძალთა კოლონების სათავეში განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლები თუ სუკ-ის გენერლები არ დადგნენ. არავის არ სჭირდება ისეთი ლატვია, სადაც ტყვიებს ისვრიან, სადაც ადამიანები წერილებს იღებენ, რომ ადრე თუ გვიან „კედელთან დააყენებენ“. ვინც არ უნდა ვიყოთ: იანისი, ჩესლავი თუ ივანი, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ყველამ, ყველა ხალხს, ერთხელ უკვე ერთნაირად გადაგვიჭრეს ფესვები (გლეხობა) და მოგვახერხეს კენწერო (ინტელიგენცია). ნუთუ საკმარისი არაა?

მოამზადა
**ფელიქს კოჭიაშვილმა.**

32

# საით მიჰყავთ საქართველო

## თეიმურაზ მირიანაშვილი

**საქართველოში დღეს არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე არსებობს სხვადასხვაგვარი შეხედულებანი, რომლებიც, სამწუხაროდ, სრულად არ აისახება ქართულ პრესაში. გაზეთი „საქართველო“ იწყებს დისკუსიას, მიძღვნილს ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობისადმი. მზად ვართ, ჩვენი გაზეთის ფურცლები დავუთმოთ ყველა პარტიის, პოლიტიკური დაჯგუფებისა თუ ცალკეულ პიროვნებათა შეხედულებებს აღნიშნულ საკითხზე, აქედან გამომდინარე, მკითხველს ვთხოვთ, ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ წერილებში წარმოდგენილი მოსაზრებები არ გააიგივოს რედაქციის პოზიციასთან.**

**რაც შეეხება ჩვენს თვალსაზრისს, მას გამოვხატავთ დისკუსიის შემაჯამებელ სარედაქციო წერილში.**

**დღეს გთავაზობთ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის თეიმურაზ მირიანაშვილის ვრცელ არაორდინალურ წერილს, რომელმაც მკითხველთა დიდი ნაწილი შეიძლება ალაშფოთოს კიდეც.**

**ბაზეთ** „საქართველოს“ ამა წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა ჩემი ვრცელი სტატია, რომელშიც დადებითი შეფასება ეძლევა ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობას.

„საქართველოს“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა თემურ ფიფიას სტატია, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობის ყოველმხრივ კრიტიკას. ეს პუბლიკაცია ვერ ჩაითვლება უშუალო პასუხად ჩემს სტატიაზე. მიუხედავად ამისა, სწორედ ბატონ თ. ფიფიას შეხედულებების გაცნობამ აღმიძრა გამოხმაურების, პაექრობის სურვილი. საქმე იმაშია, რომ, ჩემის აზრით, თ. ფიფიას სტატიაში კონდენსირებული სახით არის გადმოცემული მსოფლმხედველობა იმ პოლიტიკური ძალებისა, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ „არაფორმალებს“ ვეძახდით. თავდაპირველად ისინი, როგორც გვახსოვს, ერთიანი ფრონტით მოქმედებდნენ. შემდეგ მათს შორის მოხდა განხეთქილება. წარმოიშვა „საკოორდინაციო ცენტრი“ და „მრგვალი მაგიდა“. დღეისათვის პირველი ბანაკის ლიდერები ეროვნულ კონგრესს მესვეურობენ, მეორისა — უზენაეს საბჭოს და, შეიძლება ითქვას, ერთმანეთისადმი სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან დაპირისპირებულნი. მიუხედავად ამ საშინელი კონფრონტაციისა, შევეცდები ქვემოთ ვუჩვენო, რომ ერთნიც და მეორენიც ერთსა-დაიმავე პოლიტიკურ პლატფორმაზე დგანან — წარმოადგენენ მემარცხენე ულტრარადიკალებს; არსებითად არაფრით განსხვავდება მათი მსოფლმხედველობა, პოლიტიკის ფილოსოფია, იდეალები... განსხვავება შეიმჩნევა მხოლოდ ცალკეულ ტაქტიკურ საკითხში: ოღონდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მხარე ზედმეტად აკეთებს აქცენტს ამ ტაქტიკურ განსხვავებაზე, რათა თავისი პოზიციის ორიგინალურობასა და დამოუკიდებლობას გაუსვას ხაზი. ერთი სიტყვით, ვიმეორებ, საქმე გვაქვს ერთიდაიმავე პოლიტიკური პლატფორმის — მემარცხენე ულტრარადიკალთა — ორ ბანაკთან. რომელნიც — ამის დამტკიცებასაც ქვემოთ ვეცდები — მხოლოდ პირადი ურთიერთმოურიგებლობისა და გავლენისათვის ბრძოლის საფუძველზე წაეკიდნენ ერთმანეთს.

ბატონ თემურ ფიფიას სტატიას ერთვის სარედაქციო მინაწერი, რომელშიც ნათქვამია: **„ჩვენ არ მოვერიდებივართ და არც მოვერიდებით უზენაესი საბჭოს, მისი რომელიმე წევრის თუ თვით ზვიად გამსახურდიას კრიტიკას, თუკი კრიტიკა სამართლიანი იქნება“.**

რაკი ასეთია რედაქციის პოზიცია, იგი უთუოდ არც ეროვნული კონგრესისა და მის მესვეურთა კრიტიკას მოერიდება.

ვსარგებლობ რედაქციის ესოდენ — ვთქვათ პირდაპირი, — მამაცური პოზიციით და ვთავაზობ მას სტატიას, რომლის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ ეროვნულ კონგრესის წევრთან, თემურ ფიფიასთან პაექრობა, არამედ **პრინციპული და ყოველმხრივი კრიტიკა ყოფილ არაფორმალთა, დღეს ეროვნული კონგრესისა და „მრგვალი მაგიდის“ ლიდერთა პოლიტიკისა** ჩემი სტატიის მთავარი მიზანი იმის ჩვენებაა, რომ ულტრარადიკალთა ორივე ბანაკის მსოფლმხედველობა, იდეოლოგია, სტრატეგია, ტაქტიკა შეიცავს სერიოზულ, ზოგ შემთხვევაში კი ძალზე მძიმე ხარვეზებს. ვეცდები იმაშიც დავარწმუნო საზოგადოებრიობა, რომ თუ დაუყოვნებლივ არ გაერთიანდა ზომიერ პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგომი ინტელიგენცია და არ გააწონასწორა ულტრარადიკალიზმი (ან თუ თვით ულტრამემარცხენეებმა არ გადმოინაცვლეს რამდენადმე ცენტრისკენ), ჩვენი ერი უთუოდ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება. და ეს მოხდება ახლო მომავალში.

**თემურ** ფიფიას სტატია სამ ძირითად დებულებაზეა აგებული:

1) დღეს ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობა უდიდეს აღმავლობას განიცდის;

2) ეროვნული მოძრაობის ესოდენი აღმავლობა უმთავრესად ახალგაზრდობის დამსახურებაა. ახალგაზრდობის უკიდურესად უკომპრომისო, მაქსიმალისტურმა პოლიტიკამ გამოაღვიძა ქართველი ერი. ახალგაზრდობას მიჰყავს საქართველო დამოუკიდებლობისაკენ. (ჩემის აზრით, ცნებას „ახალგაზრდობა“ თ. ფიფია არცთუ ზუსტად ხმარობს. ჯერ ერთი, მას მხედველობაში ჰყავს ძირითადად ოცდაათ და ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული ადამიანები. ეს ასაკი ბიოლოგიური თვალსაზრისით ახალგაზრდობად ვერ ჩაითვლება. თუმცა დღეს, იუვენიზაციის ეპოქაში ახალგაზრდობის საზღვრებმა საგრძნობლად შორს გადაიწია შუა ასაკის ხარჯზე. მაგრამ აქ მთავარი თაობათა ასაკობრივი კლასიფიკაცია როდია. ამ პოლიტიკას, რომლის აპოლოგეტადაც ბატონი თემური გვევლინება, ახორციელებენ ისეთი ასაკის მოღვაწეები, რომლებიც ვერავითარი იუვენიზაციის გათვალისწინებით ვერ ჩაითვლებიან ახალგაზრდებად — მხედველობაში მყავს ორმოც და ორმოცდაათ წელს გადაცილებულნი. ასე რომ, ალბათ აჯობებდა თ. ფიფიას „ახალგაზრდობის“ ნაცვლად ეხმარა „ულტრარადიკალები“ ან „ყოფილი არაფორმალები“. იგი სწორედ ამ ძალთა პოლიტიკას ასხამს ხოტბას. ამიტომ მე ქვემოთ აღნიშნულ ორ ტერმინს ვიხმარ);

3) „მამათა თაობას“ თემურ ფიფიამ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა. თუმცა, როგორც ჩანს, თავადაც იგრძნო, რომ გადააჭარბა და პოსტსკრიპტუმში სცადა კრიტიკის რამდენადმე განეიტრალება. (აქ კვლავ განმარტებაა საჭირო. „მამათა თაობაშიც“ ავტორი გულისხმობს, არა იმდენად ასაკობრივ კატეგორიას, რამდენადაც ერთის მხრივ, ყველა „საბჭოურ“ თაობას, ხოლო, მეორეს მხრივ მათ, ვინც დღეს არ იზიარებს ულტრარადიკალთა პოლიტიკას, ვინც ზომიერ, ძირითადად მემარცხენე-ცენტრისტულ ხაზს ემხრობა. ამიტომ ჩამრიცხა „მამათა“ რიგებში თ. ფიფიამ მე. თუმცა ჩვენ ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ);

ეს სამი დებულება დამახასიათებელია ულტრარადიკალთა ორივე ბანაკისათვის (თუმცა, ცხადია, როცა დამსახურებაზე ლაპარაკობენ, ორივე ბანაკს მხოლოდ თავისი თავი აქვს მხედველობაში).

ამ დებულებებიდან პირადად მე არცერთს არ ვიზიარებ. თუ რატომ — ჯერ მოკლედ აღვნიშნავ, ოდნავ ქვემოთ კი ვეცდები დეტალურად დავასაბუთო.

თ. ფიფიას პირველ და მეორე დებულებას ერთად განვიხილავ. რატომ ვთვლი, რომ დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ განიცდის ჭეშმარიტ აღმავლობას? ვიდრე ამაზე ვუპასუხებდე, კითხვას „გადაბრუნებულად“ დავსვამ: რატომ სთვლიან თემურ ფიფია და მისი მრავალრიცხოვანი თანამოაზრენი, რომ დღეს ეროვნული მოძრაობა დიდი აღმავლობის გზას ადგას? რით დაგვისაბუთებენ ამ მოსაზრებას? თ. ფიფია არაერთგზის აცხადებს, რომ „80-იანი წლების ბოლოს საქართველოში გაიშალა უზარმაზარი მოძრაობა“, „ახალი თაობა ამაყად აფრიალებს დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვან დროშას“ და მისთანანი. ამ „უზარმაზარი მოძრაობის“ კონკრეტულ გამოხატულებად კი აცხადებს შედეგს: „თავისი პოზიცია ახალმა თაობამ მძლავრი საპროტესტო გამოსვლებით გამოხატა. საქართველოში ზედიზედ მოეწყო მთელს იმპერიაში არნახული აქციები — **მჯდომარე გაფიცვები და მასობრივი შიმშილობები** (ხაზი ჩემია — თ. მ.).

ანალოგიურად მიიჩნევენ სხვა ულტრარადიკალებიც. ამასთან, უმატებენ ურიცხვ **მიტინგს დემონსტრაცია-მანიფესტაციას** აღნიშნავენ, აგრეთვე მათს „არსენალში“ არსებულ უკიდურესად მაქსიმალისტურ **ლოზუნგებს**.

ეს ყოველივე, რასაკვირველია, სიმართლეცაა და ძალიან კარგიც, რამეთუ, უდაოდ ჩვენი ერის სიფხიზლეზე, თავისუფლებისაკენ მის ლტოლვაზე მეტყველებს. მაგრამ ცუდია ის, რომ საქმე ძალიან ნაკლებად მიდის მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების, შიმშილობების, ლოზუნგების ანუ საჯარო აქციებისა და ლაპარაკის იქით.

არ მესმის, როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაზე, რომელიც უკვე სამ წელიწადს ითვლის და რომელსაც ჯერაც არ გააჩნია ღრმად დამუშავებული კონცეპტუალური და დოქტრინალური საფუძვლები. ნუთუ იმდენად გულუბრყვილონი ვართ, რომ ჩვენი მოძრაობის აღმავლობის ნიშნად მივიჩნევთ გაუთავებელ საჯარო აქციებს (საჯარო აქციები ხომ პოლიტიკური ბრძოლის ყველაზე მარტივი ფორმაა!) და ლაპარაკს (თუნდაც მკვახე ხმით ყვირილს): „თავისუფლება გვინდა, თავისუფლება გვინდაო!“

რას უნდა დაემკვიდროს ჩვენი თავისუფლება? მაქსიმალისტურ; ინფანტალურ ლოზუნგებსა და ულტიმატუმებზე, რომელთა შედგენაშიც ნამდვილად ვერავინ შეგვედრება? თუ შორსგანჭვრეტილ, ყოველმხრივ დამუშავებულ კონცეფციებზე, რომლებიც არ გაგვაჩნია?

დიახ, ჩვენ არ გაგვაჩნია სერიოზულად გააზრებული კონცეფციები — არც გეოპოლიტიკური, არც თავდაცვითი, არც საქართველოს ეროვნულ უმცირესობებთან თუ მეზობელ ქვეყნებთან დამოკიდებულებისა, რაც შეეხება ცენტრს, ჩვენ მას მხოლოდ ბავშვურად ვებუტებით და უკანასკნელი სიტყვებით ვლანძღავთ; ჯერაც არ შეგვიმუშავებია მყარი სტრატეგია რუსეთის ყოველგვარ ძალებთან (რეაქციონერებთან, ცენტრისტებთან, დემოკრატებთან) მიმართების, მათზე გარკვეულად ზემოქმედებისა. ჩვენ არც სერიოზული ეკონომიკური, სამრეწველო, პედაგოგიკური, სასოფლო-სამეურნეო კონცეფციები გვაქვს...

ჩვენი ეხლანდელი ხელისუფლების შეცდომები სწორედ კონცეპტუალური ბაზისის არქონით არის განპირობებული... ყოველივე ამაზე, როგორც ითქვა, ქვემოთ ვიმსჯელებთ დაწვრილებით.

ეხლა, რაც შეეხება ბატონ თ. ფიფიას მესამე დებულებას. დღეს ჩვენი ერი წმინდა ემოციური პატრიოტიზმის ანაბარაა დარჩენილი. თავისთავად, ცხადია, არც ეს არის პატარა საქმე, მაგრამ, ჩემის აზრით, პატრიოტიზმის გრძნობის სიძლიერე, თავისუფლებისაკენ ლტოლვა (თუნდაც წმინდა, რომანტიკული, რეალური საქმეებით შეუმაგრებელი) პირველყოვლისა სწორედ „მამათა“ — საბჭოურ ათწლეულებში მოღვაწე თაობების დამსახურება არის და არა პოლიტიკურ ასპარეზზე პერესტროიკის და გლასნოსტის წყალობით შემოჭრილ ულტრარადიკალებისა. ულტრარადიკალთა ლოზუნგურმა პოლიტიკამ, მათ მიერ დაძაბულობის მუდმივმა ესკალაციამ, მათმა ურთიერთგაუტანლობამ, არაპარლამენტურმა გამოთქმებმა, საერთოდ ქცევის არაპარლამენტურმა სტილმა ხალხში შეიძლება გამოიწვიოს (და ამის პირველი ნიშნები უკვე არის) მოყირჭება, აპათია, დაღლა სიტყვისმიერი და არა საქმისმიერი პატრიოტიზმით.

ულტრარადიკალებს განსაკუთრებით იმის აღნიშვნა უყვართ, რომ მათ გამოაღვიძეს ერი. სინამდვილეში ქართველი ერის სიფხიზლე, მისი ღრმა პატრიოტიზმი, წინა თაობათა ინტელიგენციის დამსახურებაა. ორი-სამი წლის წინ ულტრარადიკალთა პოლიტიკურ ასპარეზზე შემოჭრამ და გაბატონებამ კი არ განაპირობა ქართველი ერის გამოფხიზლება, არამედ პირიქით, ქართველი ერის სიფხიზლემ, თავისუფლებისაკენ უსაზღვრო ლტოლვამ განაპირობა ულტრარადიკალური ლოზუნგების პოპულარობა და ამ ლოზუნგთა მატარებლების გაბატონება პოლიტიკურ ასპარეზზე.

**იმ** თაობების ღვაწლი, რომელთაც ჩვენი საუკუნის ოციანი წლების შემდეგ მოუხდათ ცხოვრება, ჩემის აზრით, არ გვაქვს ღრმად გაცნობიერებული და ღირსეულად დაფასებული. მიზეზი ამისა ის არის, რომ „საბჭოთა“ თაობების ნაღვაწსა და მიღწევებს განვიხილავთ ილიასა და მის თანამებრძოლთა მიღწევების ფონზე; რაკი მათ, ვისაც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოუხდათ ცხოვრება, თერგდალეულთაგან განსხვავებით არ შეუმუშავებიათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოძღვრება, არ შეუქმნიათ თვითმყოფადი ეკონომიკური, კულტურული, პედაგოგიკური და სხვა კონცეფციები; რაკი კვლავდაკვლავ ილიას თაობისგან განსხვავებით, ვერ შესძლეს ნაბიჯების გადადგმა ეკონომიკური და სამრეწველო ავტონომიის მიღწევისაკენ; რაკი ვერ შესძლეს სათავადაზნაურო ბანკის დარი წმინდა ეროვნულ დაწესებულებების დაარსება, მათს („საბჭოთა“ თაობების) დამსახურებას საკმაოდ დაბალ შეფასებას ვაძლევთ.

ეს, ჩემის აზრით, დიდი შეცდომაა, გამოწვეული კონკრეტულ-ეპოქალურ ვითარებათა გაუთვალისწინებლობით. ილიას, ცხადია, უაღრესად ძნელ, ტრაგიკულ ეპოქაში მოუხდა ცხოვრება, იმხანად პატრიოტული კონცეფციების შექმნა და ეროვნული დაწესებულებების დაარსება ურთულესი საქმე იყო. მაგრამ საბჭოთა დრო თვით ილიას ეპოქაზე ბევრად უფრო ტრაგიკული და ჯოჯოხეთური გამოდგა. საბჭოთა დროში თვითმყოფადი კონცეფციების შექმნაზე ან ავტონომიზმის მიღწევაზე (ეკონომიკის, მრეწველობის, კულტურის ან ნებისმიერ სხვა სფეროში) ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. ქართველი ინტელიგენციის წინაშე დადგა ამოცანა: რაიმეგვარად მიეღწიათ ქართველებში პატრიოტიზმისა და თავისუფლებისაკენ ლტოლვის შენარჩუნებისათვის, ეხსნათ ერი გამანქურთებისგან. ქართველი ინტელიგენციის საოცარი გმირობის ფასად მიზანი მიღწეულ იქნა.

ცხადია, ოციან-ორმოცდაათიანი წლების თითქმის ყველა ქართველი მწერალი წერდა პარტიაზე, ლენინზე, სტალინზე, ბერიაზე... ზოგი იმიტომ წერდა, რომ სხვაგვარად უბრალოდ სიცოცხლეს ვერ შეინარჩუნებდა იმ დროში. ზოგი გულწრფელი რწმენითაც წერდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ მარქსიზმი იყო გრანდიოზული უტოპია, რომელიც უთვალავმა ადამიანმა ირწმუნა მთელს მსოფლიოში (მათს შორის გენიალურმა მოაზროვნეებმაც კი). დიახ, სტალინის ეპოქასა და მომდევნო ხანებში ქართველ ინტელიგენტთა შორის იყვნენ გულწრფელი მარქსისტებიც და ფარული ანტიმარქსისტებიც. მაგრამ იმხანად არ ყოფილა არცერთი ჭეშმარიტი მწერალი, ხელოვანი, რომელსაც არ შეექმნა ღრმადპატრიოტული ნაწარმოებები, რომლის შემოქმედება გამსჭვალული არ ყოფილიყო სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით, სტალინის ეპოქაში ალბათ არცერთი „საბჭოურ“ ენაზე არ შექმნილა იმდენი პატრიოტული ნაწარმოები, რამდენიც ქართულად შეიქმნა. ეს, სხვათაშორის, არ არის მხოლოდ ჩემი აზრი. შემიძლია დავიმოწმო მრავალი პროგრესულად განწყობილი რუსი, ბალტიისპირელი, თუ სხვა ერების ავტორი, რომელნიც აღფრთოვანებით ლაპარაკობენ ქართველი ინტელიგენციის გმირობაზე, მათს თავგანწირულ პატრიოტიზმზე, რასაც ზნეობრივ ორიენტირად უსახავენ თავიანთ თანამემამულეებს. სტალინის სიკვდილის შემდეგ რამდენადმე მოუშვეს ჯოჯოხეთური ტერორისა და პროპაგანდის მარწუხები. და ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებაში კიდევ უფრო იმძლავრა პატრიოტულმა ნაკადმა. სამოციანი წლებიდან გაჩნდა სრულიად აშკარა კრიტიკული დამოკიდებულება საბჭოური სინამდვილისადმი. ხოლო სამოცდაათიან წლებში ზოგიერთმა ქართველმა მწერალმა, ხელოვანმა, მოღვაწემ ეზოპეს ენაც კი უარჰყო და სრულად შეუნიღბავად თქვა სიმართლე.

არ მინდა კონკრეტული მაგალითებით გადავტვირთო ეს საგაზეთო სტატია. მაგალითები საყოველთაოდ ცნობილია. ვიტყვი მხოლოდ, რომ „მამათა“ თაობების თავგანწირულმა პატრიოტიზმმა აღზარდა ის ახალგაზრდები, რომელიც „ზასტოის“ პიკზე, 1978 წელს, მზად იყვნენ დახოცილიყვნენ დედაენისათვის.

მაშ, რა ზნეობრივი უფლება აქვთ ბატონ თემურ ფიფიასა და მის თანამოაზრეებს ნოტაციები უკითხონ უფროს თაობებს და აქილიკონ ისინი? დღეს ძალიან ადვილია მარქსიზმ-ლენინიზმისა და პარტიული ფუნქციონირების ლანძღვა (თუმცა ამგვარ საქციელს მავანნი დღესაც დიდ გმირობად გვასაღებენ), წინა ათწლეულებში შექმნილი მრავალრიცხოვანი პატრიოტული ლექსის, მოთხრობის, პოემის, რომანის, ფილმის, სპექტაკლის, ტილოს, ქანდაკების, მეცნიერული ნაშრომის ავტორებს კი მუშაობის პროცესში კარგად ესმოდათ, რომ სასწორზე დებდნენ საკუთარ და მახლობელთა კეთილდღეობას, თავისუფლებას, სიცოცხლეს. მაგრამ მათ ისიც ესმოდათ, რომ მხოლოდ მაღალპატრიოტულ ხელოვნებასა და მეცნიერებას შეეძლო ეხსნა ერის სული. ამიტომ არ ერიდებოდნენ სასიკვდილო საფრთხეს.

დღეს, როცა ყველა „საბჭოთა“ ერს აქვს საშუალება თავისი სწრაფვის, ოცნების განხორციელების თუ არა, გაცხადებისა მაინც, ბალტიისპირელთა გარდა, მხოლოდ ქართველები ვაყენებთ ერთსულოვნად და კატეგორიულად სამშობლოს სრული თავისუფლების მოთხოვნას. სხვა ერები პირწმინდად ან მნიშვნელოვანწილად გამანქურთდნენ საბჭოურ ჯოჯოხეთში. ქართველთა სული კი იხსნა უკანასკნელი ექვსი ათწლეულის ქართველ მწერალთა, ხელოვანთა, მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა დიადმა (თუმცა არააფიშირებულმა) გმირობამ.

არ მინდა ისე გამიგოს ვინმემ, თითქოს სრულიად უარვყოფდე ყოფილი დისიდენტების წვლილს. ქართველმა ხალხმა ეროვნულ გმირად შერაცხა სამშობლოსათვის წამებული მერაბ კოსტავა და მთაწმინდის მიწას მიაბარა. ეს დისიდენტთა, არაფორმალთა დამსახურების აღიარებაა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენში პერესტროიკის დაწყებამდე არ იყო იმდენად მძლავრი დისიდენტური მოძრაობა, როგორიც, მაგალითად, რუსეთში, ბალტიისპირეთში, უკრაინაში.

ერთი სიტყვით, უფროსმა თაობებმა ყველაფერი გააკეთეს და მიაღწიეს კიდეც ერის სულის გადარჩენას. მეტის მიღწევა შვიდი საბჭოური ათწლეულის მანძილზე წარმოუდგენელი იყო. რეალური საქმეების — ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოძღვრების, ცხოვრების ყველა სფეროს განვითარების კონცეფციათა, ავტონომიური და სუვერენული ინსტიტუტების, დაწესებულებების შექმნის, იმპერიისაგან საქართველოს საქმით და არა მხოლოდ სიტყვით, ლოზუნგებით ჩამოშორების — დრო ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან დადგა. მაგრამ რეალური საქმეები ვერ ხორციელდება და ამაში ბრალი ძირითადად მიუძღვით არა „მამებს“, არამედ ყოფილ არაფორმალებს, ულტრარადიკალებს.

**ქართველი** არაფორმალების მოქმედება გაცხოველდა 1988 წლის შემდეგ, როცა ზემოდან დაშვებული დემოკრატიზაციის პროცესი უკვე საკმაოდ ღრმად იყო წასული — მიტინგებისთვის, დემონსტრაციებისთვის, ნების-

მიერი ხასიათის ლოზუნგებისთვის თითქმის აღარავის სდევნიდნენ. ჩვენი არაფორმალები ერისათვის უაღრესად საჭირო საქმიანობად და გმირობად აცხადებენ მათს მიერ უკიდურესად მაქსიმალისტური ლოზუნგებისა და ულტიმატუმების ფარზე აზიდვას. თუ რამდენად საჭირო და გმირული საქმიანობა იყო ეს ოთხმოციანი წლების მიწურულისთვის, ამის შესახებ — ქვემოთ. ამჟერად კი აღვნიშნავ იმ უდაო ფაქტს, რომ არაფორმალთა დაპირისპირებას იმჟამინდელ ხელისუფლებასთან ჰქონდა წმინდა ლოზუნგურ-ულტიმატუმური ხასიათი; კომუნისტური ხელისუფლება ეყრდნობოდა უაღრესად განტოტვილ, გამოწვლილვით დამუშავებულ ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ მოძღვრებას. არაფორმალებს არც კი უცდიათ ამ მოძღვრების პოზიტიური კრიტიკა, მისი არგუმენტირებულად უარყოფა. გრანდიოზულ მარქსისტულ სპეკულაციას არაფორმალებმა დაუპირისპირეს მხოლოდ ტრაფარეტული ანტიმარქსისტულ-ანტისაბჭოური ლოზუნგები და შეძახილები. აგრეთვე ძველ თუ ახალ „ბელადთა“ არამეგობრული შარჟები.

ცენტრთან დიპლომატიური „თამაშის“ წამოწყება? ვთქვათ, ლავირება (კომპრომისზე, თუნდაც უაღრესად ბრძნულ კომპრომისზე აღარას ვამბობ!) სამოკავშირეო ხელშეკრულების ირგვლივ იმ მიზნით, რომ მივაღწიოთ კრემლის პოლიტიკის შერბილებას ან, შესაძლოა, შევცვლასაც კი ჩვენს ავტონომიებში? დიპლომატიზმის თვალსაზრისით ამგვარი მოქმედება სრულიად გამართლებული შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ლავირება არ ნიშნავს საბოლოო მიზანზე უარის თქმას, არამედ ბრძოლაში ხერხის მომარჯვებას, მაგრამ ეხლა ისიც წარმოვიდგინოთ, რა ამბავს ატეხდა კონგრესი!!! ალბათ უზენაესი საბჭოს ყველა წევრის ჩაქოლვას მოითხოვდა. თავის მხრივ არც უზენაესი საბჭო მისცემს კონგრესს დიპლომატიზმზე დამყარებული პოლიტიკის განხორციელების საშუალებას.

ამის შედეგია, რომ ორივე ბანაკი არაჩვეულებრივად სწორხაზოვან, მე ვიტყოდი, ინფანტალურ პოლიტიკას ატარებს. საქმე იქამდე მიდის, რომ პოლიტიკური იარლიყების შიშით საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე უარს ამბობს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტთან შეხვედრასა და საერ-დალეულებს დაუპირისპირდა) სრულიად უცვლელი სახით დაბეჭდეს ყველასათვის უცნობი პეტერბურგელი ნასტუდენტარის სტატიები, რომლებიც ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ „მამათა“ მთელი მსოფლმხედველობისგან. შემდეგ თვითონ ილიასაც ხშირად დაუბეჭდავს თავის ორგანოში ისეთი სტატიები, რომელთა პათოსსაც პირადად არ იზიარებდა. ვაჟა-ფშაველამ თხოვნით მიმართა ქართულ და რუსულ რედაქციებს, ბეჭდეთ ჩემზე ყოველნაირი კრიტიკაო. მსგავსი მაგალითები კიდევ ბევრი შეიძლება მოვიტანოთ. ჩვენს დიდ წინაპრებს ესმოდათ, რომ მხოლოდ აზრის სრული განთავისუფლებაა ეროვნული პროგრესის და საბოლოო ჯამში ერის განთავისუფლების საწინდარი. რაც შეეხბათ ულტრარადიკალებს, თუმცა საქართველოში არასოდეს არავის უთქვამს იმდენი სადღეგრძელო დემოკრატიის და აზრის, სინდისის თავისუფლებისა, რამდენსაც ისინი ამბობენ, მაინც ძალიან აღიზიანებთ პირადად მათი მისამართით თქმული კრიტიკა და ხშირად ოპონენტის შეურაცხყოფა-დაშინებაზე გადადიან. ეს, ჩემის აზრით, უფრო მეტად „მრგვალ მაგიდაზე“ ითქმის (შესაძლოა არა იმიტომ,

სხვა ყაიდის მარქსისტული დაჯგუფებანი თითქმის ერთპიროვნულად გაბატონდნენ საქართველოს პოლიტიკურ არენაზე. თანაც, სწორედ ქართველ მარქსისტებს გამოარჩევდათ განსაკუთრებული ორთოდოქსალიზმი, ფანატიზმი და აგრესიულობა.

ჩვენ მარქსიზმზე საბოლოო გამარჯვებად გვესახება ის, რომ ბომონდის დღევანდელი ინტელექტუალური მოდა სრულიად უარყოფს ყველაფერს, რაც მარქსისტულ თარგზეა გამოჭრილი. მაგრამ რად გვავიწყდება, რომ მოდის ჭირვეულობა ხშირად აცოცხლებს რეტროს სტილს!

წმინდა ემოციური პატრიოტიზმი ერთხანს კიდევ შეიძლება გაგვწვდეს. მაგრამ გავა დრო (დრო კი ძალიან სწრაფად გარბის) და შეიძლება შევნიშნოთ (ჩემის აზრით, ეს ესეც იქნება), რომ საქმე არცერთ სფეროში წინ არ მიდის. არც იმედია წინსვლისა, რადგან არ არის კონკრეტული პროგრამები (კონცეფციები); შეიძლება შევნიშნოთ, რომ მიუხედავად ბრბოს გულისგასახარი დეკლარაციებისა, რეალურად საქართველო კვლავ იმპერიის სიამის ტყუპად რჩება, მასთან საფეთქლით შეზრდილი. და აი, აქ შეიძლება გაგვახსენდეს (ან

**მეორე:** იმ პრობლემების... ავტონომიებში შეგვექმნა, ჩვენ მთლიანად და მხოლოდ კრემლის ხრიკებს მივაწერთ. ცხადია, სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის, რომ ეთნოკრიზისები კრემლისგან არის ინსპირირებული. მაგრამ რატომ არ გვინდა ვაღიაროთ, რომ არ გაგვაჩნია ბრძნული, შორსგანჭვრეტილი სტრატეგია აფხაზებთან და ოსებთან დამოკიდებულებისა, რომ ჩვენი ნაბიჯები ხშირად არადიპლომატიურია და ეს ყოველივე სრულიადაც არ უწყობს ხელს კონფლიქტების მოგვარებას.

ყველას გვახსოვს, მაგალითად, განცხადებები აფხაზეთის ავტონომიის უკანონობაზე, მისთვის ტერიტორიათა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამორთმევაზე. აფხაზეთის ავტონომია არ არის უკანონო, რამეთუ იგი შექმნილია თავისუფალი საქართველოს კანონიერი მთავრობის მიერ ავტოქთონური აფხაზი ერის თვითგამორკვევა-თვითდამკვიდრების მიზნით. ასეთმა განცხადებებმა (სხვათაშორის, უხვად ციტირებულმა საკავშირო პრესის მიერ) მხოლოდ ჩვენი ეროვნული მოძრაობის **რენომეს** შელახვა გამოიწვია. იმას კი არ ვამტკიცებ, თითქოს ამ განცხადებებმა შექმნეს კრიზისი, არამედ იმას, რომ

# ულტრარადიკალებს—ყოფილ არაფორმალებს?..

არაფორმალთა პოლიტიკური აზროვნების ზედაპირულობა და ზერელობა განსაკუთრებით კარგად მათი გათიშვის შემდეგ გამოჩნდა: „საკოორდინაციო ცენტრისა“ და „მრგვალი მაგიდის“ ლიდერებს ლოზუნგებიც, დევიზებიც, სიმბოლოებიც ერთნაირი ჰქონდათ (და აქვთ!), ამიტომ მათს დაპირისპირებას ლოზუნგური ხასიათიც კი ვეღარ მიეცა. ორ ბანაკს შორის ჩამოყალიბდა ოპოზიცია პოლიტიკური იარლიყებისა და ლანძღვა-გინების დონეზე.

ულტრარადიკალთა გათიშვის შემდეგ (1990 წლის აპრილის მიწურული) საქართველო გზაგასაყართან აღმოჩნდა. ერი ირჩევდა, ვის გაჰყოლოდა — „საკოორდინაციო ცენტრს“, ანუ ეროვნულ კონგრესს, თუ „მრგვალ მაგიდას“, ანუ უზენაეს საბჭოს. ისევე როგორც ყველა ქართველი, მეც უდიდესი გულისყურითა და გულისფანცქალით ვეცნობოდი ნახევარი წლის განმავლობაში (აპრილის მიწურულიდან შუა შემოდგომამდე და ცხადია, მერეც) ორივე ბანაკის თითოეულ განცხადებას, პუბლიკაციას. სექტემბერ—ოქტომბერში, როცა დადგა საბოლოოდ არჩევნის დრო, აღმოვაჩინე, რომ მრავალთვიან მძვინვარე პოლემიკაში არცერთ მხარეს არცერთხელ არ უხსენებია... სიტყვა „ეკონომიკა“!!!

ნახევარი წელიწადი მხარეებმა მხოლოდ ოპონენტთა ლანძღვასა და თავიანთი თავის ქებაში გაატარეს. მათ არ უპაექრიათ არც ეკონომიკის, არც მრეწველობის, არც სოფლის მეურნეობის, არც თავდაცვის ორგანიზების, არც გეოპოლიტიკური სტრატეგიის გააზრების და საერთოდ არცერთი არსებითი ხასიათის საკითხის თაობაზე. „საკოორდინაციო ცენტრისა“ და „მრგვალი მაგიდის“ პოლემიკას ჰქონდა და აქვს სრულიად არაკონსტრუქციული, ლანძღვითი ხასიათი.

ორივე ბანაკის წარმომადგენლებს იმთავითვე ესმოდათ, რომ არ შეეძლოთ პოლიტიკურ ასპარეზზე დამკვიდრება ერისათვის მოპირისპირე მხარეზე უკეთესი კონცეფციებისა და დარგობრივი პროგრამების შეთავაზებით. არ შეეძლოთ, რადგან კონცეფტიალური აზროვნება ორივე მხრიდან არსებითად იგნორირებულია. ამიტომ არგუმენტებად აქციეს გულზე მჯიღის ბაგუნი, მოწინააღმდეგეთა ლანძღვა და „სიტყვაზე გამოჭერა“.

ამ უკანასკნელი გარემოებით არის განპირობებული ის, რომ ორივე მხარე მეტისმეტად ბოჭავს ერთმანეთს და არ აძლევს ნორმალური პოლიტიკის განხორციელების საშუალებას. ნორმალური პოლიტიკა ხომ გულისხმობს დიპლომატიზმს, გარკვეულ ლავირებას, გონივრულ კომპრომისს... ყოველივე ამის გარეშე არამცთუ პოლიტიკაში, არამედ ომშიც, სამხედრო ბრძოლებშიც ვერ მიიღწევა წარმატება. მაგრამ დავფიქრდეთ, შეუძლია დღეს უზენაეს საბჭოს

თოდ მოსკოვში ჩასვლაზე. თუმცა ცხადია, რომ ამგვარი კონტაქტები თუ არას შეგვმატებდა, არც არას დაგვაკლებდა. დღეს მთელს მსოფლიოში აღიარებულია უმაღლესი დონის ხელმძღვანელთა პირადი შეხვედრების უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენ კი უარს ვამბობთ ამაზეც, მრავალ სხვა საჭირო, პერსპექტიულ პოლიტიკურ ნაბიჯზეც, მხოლოდ იმიტომ, რომ ულტრარადიკალთა ორი ბანაკი კრიჭაში უდგას ერთმანეთს, რის გამოც ნორმალური პოლიტიკის გატარების საშუალება არცერთ მათგანს არ აქვს.

თუმცა განა მარტო უზენაესი საბჭოსა და კონგრესის ლიდერებს აღეკვეთათ პოლიტიკაში დიპლომატიური ილეთების გამოყენების საშუალება მათივე არაკონსტრუქციული ანტაგონიზმის მიზეზით? ყველა დაჯგუფება, პარტია, პიროვნება, იძულებულია იმოქმედოს აპადიპლომატიურად, სწორხაზოვნად, ურაპატრიოტულად ან საერთოდ ჩამოსცილდეს პოლიტიკურ ასპარეზს.

პირადად მე ვიცნობ მრავალ ინტელიგენტს, რომლებიც აცნობიერებენ, თუ რამდენ დამღუპველია არადიპლომატიურად მოქმედება პოლიტიკაში და რაოდენ საჭიროა ჭკვიანური ლავირება, კომპრომისიც. მაგრამ ეს ადამიანები ხმის ამოღებას ვერ ბედავენ. ულტრარადიკალთა ზოგიერთმა ლიდერმა აკი სრულიად აშკარად შეუთვალა ამ ტიპის მოღვაწეებს მუქარა, ერის მოღალატეებად გამოგაცხადებთო...

საბჭოთა ათწლეულების მანძილზე ხალხს გამოუმუშავდა ხელისუფლებისადმი მისტიკური შიში. დღეს კომუნისტებისა, ცხადია, აღარავის ეშინია. მაგრამ არ ჩამქვდარა თვით შიში პოლიტიკურ ასპარეზზე გაბატონებული ძალებისადმი. ასეთნი კი დღეს არიან ულტრარადიკალები (პირველ რიგში „მრგვალი მაგიდა“, თუმცა ეროვნული კონგრესიც საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენს და ხალხი მასაც ძალიან უფრთხის). ამიტომ თუ დღეს რომელიმე ინტელიგენტი გაბედავს ულტრათა ამა თუ იმ ბანაკის გაკრიტიკებას, როგორც წესი, მხოლოდ მეორე ბანაკის ფრთას შეფარებული. საზოგადოდ არაფორმალთა, მათი ულტრამემარცხენეული პოლიტიკის კრიტიკა ჯერ არავის გაუბედავს.

ერთადერთი ჭეშმარიტი სიკეთე, რაც პერესტროიკამ და გლასნოსტმა მოიტანეს, არის დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება. კომუნისტური ცენზურა აღიკვეთა. მაგრამ დარჩა დემოკრატიული ტრადიციის არქონა, პირმოთნე დამოკიდებულება გაბატონებული პოლიტიკური ძალებისადმი, და ულტრათა ორივე ბანაკმა ისარგებლა ამით...

თავის დროზე ბნელეთად და რეაქციონერებად შერაცხულმა „მამებმა“ (მხედველობაში მყავს ის დაჯგუფება, რომელიც თერგრომ ამ ბანაკში უფრო ნაკლებად დემოკრატები არიან თავმოყრილნი, ვიდრე მოპირისპირეში, არამედ იმიტომ, რომ მათს ხელშია რეალური ძალაუფლება). „მრგვალი მაგიდის“ ლიდერებს არაფრად უღირთ პირადი ოპონენტების სრულიად უარგუმენტოდ გამოცხადება „სუკის აგენტებად“, „კრემლის ჯაშუშებად“, „მაფიოზებად“...

ერთი სიტყვით, ულტრათა პოლიტიკამ გამოიწვია პერესტროიკისაგან ნაბოძები ერთადერთი სიკეთის — სიტყვის თავისუფლების თუ აღკვეთა არა, ყოველ შემთხვევაში, უაღრესად შეზღუდვა. დღეს არსებითად მხოლოდ ულტრა-მემარცხენეებს აქვთ საშუალება თავიანთ შეხედულებათა გამოთქმისა. ზომიერი პოლიტიკური ძალები ან ხმაგაკმენდილი დგანან ჩრდილში, ანდა ჩურჩულებენ, ვიშვიშებენ.

ხოლო საქართველოს, მიმდევარს ზემაქსიმალისტური ლოზუნგებისა, არ გააჩნია არავითარი მეცნიერულად დამუშავებული ორიენტირები, გზამკვლევები. საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ მას მტკიცე ნაბიჯებით მიჰყავს ერი თავისუფლებისკენ. პირადად მე კი მგონია, რომ ჩვენ კისრისტეხით მივილტვით საითლაც უკომპასოდ, ურულოდ, უსაგზლოდ... ერთადერთი, რაც ვიცით, არის ის, რომ იქ კარგია, ხოლო აქ ცუდი.

**ქართველი** ხალხის უმთავრესი ამოცანა დღეს, ისტორიის ტრაგიკულ გზაგასაყართან, არის ჭეშმარიტი გზის ძიება. ჭეშმარიტება კი მხოლოდ პაექრობით მიიკვლევა. მაგრამ რაკი ზომიერ პოლიტიკურ ძალებს პირში ბურთი აქვთ ჩაჩრილი, სრულფასოვან პაექრობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ამიტომაა ესოდენ მწირი ჩვენი პოლიტიკური აზროვნება. უზენაეს საბჭოში არ შეიმჩნევა არსებითად არავითარი დისკუსია, არავითარი აზრთა სხვადასხვაობა. პრესა თითქმის ისევე ეხმაურება დღევანდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებს, როგორც თავის დროზე ძველი ხელისუფლების გადაწყვეტილებებს ეხმაურებოდა. პოლიტიკური აზროვნების სიმწირე ბუნებრივად ჰქმნის მრავალ არასასურველ გარემოებას რომელთაგანაც ზოგიერთს აქ შევეხები.

**პირველი:** ჩემის აზრით სრულიად რეალურია ჩვენში მარქსიზმის აღორძინება. როგორც უკვე აღვნიშნე, მარქსიზმი ჩვენ მხოლოდ ლოზუნგურ, წმინდა ემოციურ დონეზე გვაქვს უარყოფილი. მის საფუძვლიან, არგუმენტირებულ კრიტიკაზე არც კი გვიფიქრია. გამოდის, რომ ისტორიის ერთ ყველაზე შხამიან სარეველას ჩვენ მხოლოდ ღერო გადავუსხიპეთ, ფესვები რჩება. ხოლო თუ რაოდენ ღრმად აქვს საქართველოში გადგმული ფესვები მარქსიზმს, მოეხსენება ყველას, ვინც ასე თუ ისე იცნობს უკანასკნელი ასი წლის ისტორიას. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დამლევიდან სხვადა-გაგვახსენონ) ულამაზეს დაპირებათა მფრქვეველი უტოპია (დაპირებებში აბა რომელი მოძღვრება შეედრება მარქსიზმს!). შეიძლება გაგვახსენდეს ისიც, რომ ამ მოძღვრების მრავალრიცხოვან ქართველ აპოლოგეტთა დებულებები საფუძვლიანად არავის უარუყვია. მხოლოდ ლაფს ესროდნენ. ხოლო ზოგიერთი მარქსისტი მოღვაწის დამსახურებას თვით ყველაზე „საშინელი ანტიმარქსისტული ისტერიის“ პერიოდშიც კი ვერ უარჰყოფდნენ! მხედველობაში მყავნან ის მენშევიკი (ანუ მარქსისტი) ლიდერები, რომელთაც დღეს ლამის დიდ მამულიშვილებად ვაცხადებთ, რადგან ზერელედ ვიცნობთ მათს ანტიეროვნულ ნამოქმედარს — ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ი. წერეთელი, ა. ჩხენკელი და სხვანი.

მარქსიზმის აღორძინების საფრთხეს მხოლოდ ამ მოძღვრების (განსაკუთრებით მისი ქართული ნაირსახეობის — დიახ, არსებობს ქართული მარქსიზმი!) ღრმა და ყოვლისმხრივი კრიტიკა აგვარიდებს. მაგრამ განა შესაძლებელია ეს დღევანდელ საქართველოში?! უკანასკნელი წლების გაუთავებელმა მიტინგომანიამ გადაგვაჩვია დაკვირვებულ განსჯას, ფუნდამენტურ ანალიზს. დღეს ჩვენ ლოზუნგებითა და კარიკატურებით ვაზროვნებთ. ხანდახან იმასაც კი გაიგონებ, რომ ეხლა არ არის ფუნდამენტური აზროვნების დრო... რა ჭეშმარიტების ძიებაზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ პირობებში!

განსაკუთრებით ძნელია ჭეშმარიტების თქმა მარქსიზმზე. შეუძლებელია, მაგალითად, ბოლშევიკი ლიდერების ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი პორტრეტების შექმნა, რადგან შეუძლებელია აღნიშვნა იმისა, რომ მათს (ბოლშევიკ ლიდერთა) შორის იყვნენ გულწრფელად დაბნეული ადამიანები, რომელთაც ბრმად სწამდათ, რომ მშრომელთა ინტერესებს ემსახურებოდნენ, რომ „დროებითი გაჭირვებისა“ და „მტკიცე ზომების“ საფასურად მარადიულ სამოთხეს აშენებდნენ ამქვეყნად.

ასევე შეუძლებელია მარქსიზმის თუნდაც იოტისოდენა დამსახურების აღნიშვნა მეცნიერებაში. მაგრამ განა ეს მოძღვრება, მომცველი ყოფიერების ყველა სფეროსი და დამუშავებული ათი ათასობით მეცნიერის (დიახ, ათი ათასობით მეცნიერის!) მიერ, არცერთ მართებულ დებულებას არ შეიცავს? არ არის, მაგალითად, მართებული მარქსიზმის აზრი საზოგადოებრივ ფორმაციებზე?...

სამწუხაროა, რომ ჩვენ დღესაც, ისევე, როგორც ბოლშევიკების ტირანიის ჟამს, მხოლოდ ორ ფრად — შავად ან თეთრად — გვესახებიან მოღვაწეებიცა და მოძღვრებიც. ამიტომაა ჩვენი წარმოდგენა მარქსიზმსა და მის აპოლოგეტებზე ესოდენ სქემატური, კარიკატურული.

ნუ გვავიწყდება, რომ გაუთავებელი ლანძღვა (არა კრიტიკა — ლანძღვა) ბოლოსდაბოლოს საპირისპირო გამოძახილს იწვევს ხალხში. და ეს, პირველყოვლისა, ქართველ ხალხზე ითქმის.

ამ განცხადებებმა კოზირები მისცეს სეპარატისტებს, გაუადვილეს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მიმხრობა, გაუადვილეს რიგით, პატიოსან აფხაზთა განწყობაც ანტიქართულად მოემართათ.

ავტონომიებში ჩვენი არადიპლომატიური ქმედების, უმწიფარ გადაწყვეტილებათა მიღების არაერთი სხვა მაგალითიც შეიძლებოდა მოგვეტანა...

**მესამე:** ჩემის აზრით, ხელისუფლების მძიმე შეცდომას წარმოადგენს საქართველოს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შენარჩუნება, საკრებულოების არჩევა და პრეფექტების დანიშვნა. იმის გარკვევა, თუ რაოდენ არასასურველ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამან, არ არის ძნელი.

...ბოლშევიკებმა საქართველო შვიდ ათეულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულად — რაიონებად დაყვეს (რევოლუციამდე იყო 16 მაზრა და 4 ოლქი). ასეთი დაქუცმაცების მიზეზები, სრულიად გასაგებია: ჯერ ერთი, რაიკომებსა და რაიაღმასკომებს მეთვალყურის, ზედამხედველის ფუნქცია ეკისრებოდათ. ზედამხედველი კი, რაც მეტია, მით უკეთესი; მეორეც, ბოლშევიკები საგულდაგულოდ ცდილობდნენ ბიუროკრატთა მრავალრიცხოვანი ფენების გამოზრდას, რადგან სწორედ ბიუროკრატიაა ყოველგვარი ტირანიის ყველაზე საიმედო დასაყრდენი.

ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ მხედველობიდან გვრჩება ერთი ძალიან საგულისხმო გარემოება. თუ კარგად დავაკვირდებით საქართველოს რუკას, ვერ შევნიშნავთ არსებითად ვერცერთ რაიონს, სადაც გაერთიანებული იყოს საქართველოს სხვადასხვა ისტორიული ოლქების ანუ კუთხეების სოფლები. მაგალითად, აჭარისა და გურიის სოფლები, სამეგრელოსი და იმერეთის, ქართლისა და კახეთის.

რატომ იცავდნენ ბოლშევიკები ასერიგად კუთხეების „სიწმინდეს“? მგონი, სრულიად გასაგებია: მათ სცადეს ჩვენი ძველი სენის — პარტიკულარიზმის მაქსიმალურად გაღვივება და პატარ-პატარა ეთნოკრატიების შექმნა ცალკეულ კუთხეთა შიგნითაც კი.

აკი მიაღწიეს კიდეც საწადელს! გაჩნდა სრულიად ახალი „ეთნონიმები“ — გურჯაანელი, გორელი, წალენჯიხელი, ჩოხატაურელი... ეს „ეთნონიმები“ აერთიანებს არა მხოლოდ ჩამოთვლილი ქალაქებისა და დაბების მცხოვრებთ, არამედ იმ სოფლების მკვიდრთაც, რომლებიც ბოლშევიკებმა აღნიშნულ რაიონულ ცენტრებს მიაწერეს. გაჩნდა სრულიად აშკარა „სარაიონთაშორისო“ ანტაგონიზმი (რაც განსაკუთრებით თვალნათლივ მეზობელ რაიონთა შორის გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში იჩენს ხოლმე თავს. თუმცა, სამწუხაროდ, ანტაგონიზმი მხოლოდ სპორტის სფეროთი არ იფარგლება).

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(გაგრძელება)

ასეთი ვითარებაა ქართველებით დასახლებულ რაიონებში. არაქართველებით დასახლებულებში კი, ბუნებრივია, უარესიც. ვინც საქართველოს მიწაზე ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად შემოფარგლა თითქმის მხოლოდ სომხებით, თითქმის მხოლოდ აზერბაიჯანელებით, თითქმის მხოლოდ ოსებით და ა. შ. დასახლებული ტერიტორიები, მათ, რა თქმა უნდა, უწყოდნენ, რასაც იქმნდნენ... მაგრამ ჩვენ რისთვის ვინარჩუნებთ ამ შენელებული მოქმედების ნაღმებს?! ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების გამსხვილება ხომ გადაგვაჭრევინებდა ამ პრობლემას! აღარ იარსებებდა არც ეთნიკურ და არც „კუთხობრივ“ საფუძველზე იზოლირებული „სახელმწიფოები“.

დაახლოებით საქართველოსხელა ქვეყნებიდან არცერთს არ აქვს იმდენი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეული, რამდენიც ჩვენს რესპუბლიკას. ექვსნახევარმილიონიანი შვეიცარია 23 კანტონადაა დაყოფილი, თითქმის რვამილიონიანი ავსტრია — რვა მიწად, ათმილიონიანი ბელგია — 9 პროვინციად, ექვსმილიონიანი შოტლანდია — 9 რაიონად და ა. შ.

მაშ, რად გვინდა საქართველოში შვიდი ათეული რაიონი? ბატონ ზვიად გამსახურდიას აზრით, რაიონების გაერთიანება გამოიწვევდა მკვიდრთა ქიშპს იმის თაობაზე, თუ რომელ ქალაქს შენარჩუნებოდა ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსი. არ მგონია, ეს უფრო დიდი პრობლემა გამხდარიყო, ვიდრე პრეფექტების დანიშვნა (განსაკუთრებით არაქართულ რაიონებში).

გასათვალისწინებელია, ისიც, რომ კოლონიალური ხელისუფლების მიერ მოხდენილი და ამდენად არაკანონიერი ადმინისტრაციული დაყოფა, ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა არსებითად დააკანონა, ხოლო საკრებულოების არჩევით ჩვენ ფაქტიურად პარლამენტები დავუარსეთ ბოლშევიკთაგან შექმნილ ეთნოკრატიებს; თუ აქამდე რაიონების დონეზე არსებითად მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება არსებობდა, ჩვენ კანონმდებლური ხელისუფლებაც დავამკვიდრეთ, რაც ხელს შეუწყობს ეთნოკრატიების კიდევ უფრო გაძლიერებას. პრეფექტები კი საქმეს ვერ უშველიან. არაქართულ რაიონებში ისინი უფრო ხარის თვალწინ მოფრიალე წითელი მოსასხამის როლს შეასრულებენ. (ესეც არ იყოს, ბევრ არაქართულ და თვით შერეულ რაიონშიც კი პრეფექტს საერთოდ ვერ ვნიშნავთ). პრეფექტების ინსტიტუტმა მხოლოდ ის მოგვიტანა, რომ საქართველოს მტრებს მიეცათ საშუალება ჩვენს არადემოკრატობასა და ქსენოფობიაზე დემაგოგობისა.

რაკი მეზობელ ხალხებთან ჩვენს ურთიერთობაზე ვმსჯელობთ, ისიც უსათუოდ უნდა ვთქვათ, რომ დაუშვებელია საჯაროდ გამოცხადება ყველაფრისა, რაც ამა თუ იმ პოლიტიკოსს შეიძლება გულში ჰქონდეს.

ყველა ზემოაღნიშნული ხარვეზი ჩვენი პოლიტიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი არადიპლომატიზმის, კონცეპტუალური საფუძვლების არქონის შედეგია.

**მეოთხე.** უკანასკნელ აბზაცში გამოთქმული მიზეზით არის ჩვენი პოლიტიკა ცენტრთან, საერთოდ რუსეთთან მიმართებაში ესოდენ სწორხაზოვანი და არადიპლომატიური.

ჩვენ სათანადოდ არ ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რაც სრულიად თვალსაჩინოდ წარმოაჩინა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე უკანასკნელი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე დეკოლონიზაციის პროცესმა: კოლონიათა განთავისუფლებას განაპირობებს არამხოლოდ და არაიმდენად ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რამდენადაც მეტროპოლიაში, მჩაგვრელ ერში მომხდარი სასიკეთო ძვრები. აზია-აფრიკის ნახევრადველური და მთლად ველური ერები ვერასოდეს დაამარცხებდნენ ბრძოლის ველზე ევროპულ ზესახელმწიფოებს თვითონ ფრანგები, ინგლისელები, ბელგიელები, პორტუგალიელები რომ არ ამაღლებულიყვნენ სხვა ერთა დამონების ამორალურობისა და წამგებიანობის შეგნებამდე (დიახ, კოლონიალური პოლიტიკა საბოლოო ანგარიშით ეკონომიკურადაც წამგებიანია).

სხვათაშორის, რუსეთმა სხვა მეტროპოლიებზე ადრე (1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ) მიანიჭა თავისუფლება თავის კოლონიებს. მაგრამ შემდეგ დემოკრატია დამარცხდა რუსეთში. გაიმარჯვეს იმპერიის „განახლების“ მოსურნე ძალებმა და ფიზიკურად გაანადგურეს ან ემიგრაციაში განდევნეს დემოკრატები. რეაქციის მიერ შვიდი ათწლეულის მანძილზე წარმოებული ჯოჯოხეთური ტერორისა და ჯოჯოხეთური ველიკოდერჟავული პროპაგანდის გათვალისწინებით, სრულიად გასაგები ხდება რუსეთის დემოკრატიული ძალების დღევანდელი სისუსტე (გასაგებია სიმცდარე და ამორალურობა იმის მტკიცებისაც, თითქოს დამპყრობლობა რუსთა გენეტიკური თვისება იყოს).

რაც უფრო სუსტია დღეს რუსეთის დემოკრატია, მით უფრო ენერგიულად უნდა ვცდილობდეთ ჩვენ მის გვერდში დგომას, რასაც, სამწუხაროდ, არ ვაკეთებთ.

ყველაზე დიდი უბედურება დღეს იმაში მდგომარეობს, რომ 70 წლის მანძილზე უსაშველოდ ჰიპერტროფირებული რუსეთის რეაქციული ძალები ამარცხებენ სუსტ დემოკრატიას და ამარცხებენ პირველყოვლისა თეორიულ ბრძოლაში. თეორიულ ბრძოლას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; დეკოლონიზაციის მექანიზმი ამოქმედებას იწყებს მაშინ, როცა პროგრესული მოაზროვნეები, წარმომადგენელნი მჩაგვრელი ერისა უხსნიან თავიანთ რიგით თანამემამულეებს კოლონიალური პოლიტიკის ამორალურობასა და ყოველმხრივ წამგებიანობას. დღეს რაკი რუსეთის დემოკრატია ვერ ახერხებს თეორიული ომის მოგებას, ჩვენ მას უნდა დავხმარებოდით. უნდა შეგვექმნა მთელი თეორიული სისტემები, დამასაბუთებელი იმისა, რომ კოლონიალურ პოლიტიკას კრახამდე მიჰყავს მეტროპოლიის ეკონომიკა, კულტურა, ზნეობა; გარდაუვალად იწვევს ცხოვრების ყველა სფეროს პოლიტიზაციას, ადამიანის თავისუფლების აღკვეთას თვით მეტროპოლიაშიც; ყოველივე ამის გამო ხალხში ჩნდება უსასოობის, სრული უპერსპექტივობის გრძნობა, რაც თავის მხრივ იწვევს ეპიდემიებს ალკოჰოლიზმის, ტოქსიკო- და ნარკომანიის, დანაშაულობათა ზრდისა; საბოლოო ანგარიშით კოლონიალურ პოლიტიკას სრულ გადაგვარებამდე მიჰყავს კოლონიზატორი ერი. ამიტომ გაათავისუფლა ცივილიზირებულმა დასავლეთმა დაპყრობილი ქვეყნები.

**მეხუთე.** ეხლა იმის შესახებ თუ რაოდენ არასასურველ შედეგებთან შეიძლება მიგვიყვანოს ულტრათა პოლიტიკამ რელიგიის სფეროში.

ქართველების უმრავლესობა მაჰმადიანია. ამის გარდა არიან ქრისტიანნი, აგრეთვე წარმართულ-ქრისტიანული სიმბიოზის მაღიარებელნი. (ამ სიმბიოზში წარმართული ელემენტი სჭარბობს). საკუთრივ ქრისტიანთა შორის გავრცელებულია სამი კონფესია — მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი და გრიგორიანელობა. არიან ათეისტებიც. (ნუ დაგვავიწყდება, რომ ათეიზმიც რწმენაა და ათეისტთა დევნა ისევე დაუშვებელია, როგორც ღვთისმოშიშთა დევნა).

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სრულიად ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლება რელიგიის სფეროში უაღრესად ფრთხილ, ტაქტიან პოლიტიკას უნდა ახორციელებდეს. უნდა ახორციელებდეს, მაგრამ...

ჩვენი ერის დიდ მამებს — ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილს, ივანე ჯავახიშვილს, ცხადია, ეწადათ ქართველთა რელიგიურად გაერთიანება. მაგრამ არცერთ მათგანს არასოდეს უთქვამს, ყველა ქართველი უსათუოდ მართლმადიდებელი ქრისტიანი უნდა იყოსო. მითუმეტეს, არ დაუწყიათ დაუყოვნებელი ქმედება ამ მიზნის განსახორციელებლად.

დიდი მამები ითვალისწინებდნენ, რომ ყოველა რელიგია ეყრდნობა ორ დედაბოძს, რომელთაგანაც ერთია ტრადიცია, ანუ ის, გარემოება, რომ რელიგია არის არა მხოლოდ რწმენა, არამედ ცხოვრების წესიც. ცხოვრების წესის ერთბაშად შეცვლა კი ყველა ადამიანს უჭირს. მოწიფულ ასაკში ცხოვრების წესის შეცვლა ისევე ძნელია, როგორც პროფესიის გამოცვლა. ამის გარდა ძველი რელიგიის ერთბაშად უარყოფა და ახლის აღიარება, ხალხს იმის გამოც ეძნელება, რომ მამაპაპა ძველი რელიგიის წესზე ჰყავს მიწისთვის მიბარებული.

მაგრამ მთავარი დედაბოძი ყველა რელიგიისა მაინც არის არა ტრადიცია, არამედ ღვთაებრივი ტერორის შიში. მორწმუნეს ხომ სხვანაირად ღვთისმოშიში ჰქვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რელიგიურ ადამიანს ეშინია ღვთაებრივი სასჯელისა საიქიოშიც და სააქიოშიც; ეშინია როგორც პირადად მისდამი, ისე მისი ცოდვის გამო მახლობლებისადმი დატეხილი სასჯელისა. სხვათაშორის ღვთაებრივი ტერორის შიში ყველაზე მეტად სწორედ მაჰმადიანებს ახასიათებთ!...

მიუხედავად ამისა ჩვენი ულტრები პირდაპირ ულტიმატუმს უყენებენ მაჰმადიან ქართველებს: ყველა ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი უნდა იყოსო! ავიწყდებათ ულტრებს, რა საშინელი, ჯოჯოხეთური განხეთქილებანი გამოუწვევია ერებში ისტორიულად და იწვევს დღესაც ამა თუ იმ რელიგიის ან კონფესიის სარწმუნოებრივ მაქსიმალიზმსა და მოუთმენლობას...

დღეს რესპუბლიკის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც კომპაქტურადაა დასახლებული მაჰმადიანი ქართველებით, ხელისუფლება ახორციელებს ფორსირებული ქრისტიანიზაციის პოლიტიკას. ჩემის აზრით, ეს ცეცხლთან თამაშია. მაგრამ, დავუშვათ, რომ აჭარაში ამგვარმა პოლიტიკამ გამოიღოს დადებითი შედეგი (ილიასა და მის თანამებრძოლთაგან საუკუნის წინ დაწყებულმა ბრძნულმა პოლიტიკამ აჭარაში ისედაც უკვე გამოიღო ნაყოფი. აჭარელთა უმრავლესობა უკანასკნელ ათწლეულებში აშკარად განუდგა ოდესღაც თავსმოხვეულ მაჰმადიანობას), იმ რამდენიმე მილიონ ქართველზე აღარ ვფიქრობთ, რომლებიც თურქეთსა და ირანში ცხოვრობენ?! მათაც ხომ ვერ დავუარსებთ ეკლესიებსა და სემინარიებს! ისინი ხომ ჯერ არ არიან შინაგანად შემზადებულნი ისლამის უარსაყოფად!

**მეექვსე.** არ მინდა ისე გამიგონ, თითქოს დადებითს ვერაფერს ვხედავდე ულტრარადიკალთა მოღვაწეობაში. მე ღირსებად მესახება მათთვის დამახასიათებელი სიმართლის ხმამაღლა თქმის პათოსი, დაურიდებლობა ნებისმიერი ავტორიტეტის წინაშე. ამიტომ მათგან ავიღებ კარგ მაგალითს და ბოლომდე გავამხელ, რასაც ვფიქრობ მემარცხენე ულტრარადიკალიზმზე (ამჯერად ვგულისხმობ არა მხოლოდ ქართველ, არამედ საერთოდ მთელს საბჭოთა კავშირში მოღვაწე ულტრარადიკალებს): **ის, რომ უკანასკნელ ხანს ალიკვეთა დემოკრატიზაციის პროცესი და იმძლავრა რეაქციამ, ჩემის ღრმა რწმენით, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ულტრამემარცხენეების გაუწონასწორებელმა და ავანტიურულმა პოლიტიკამ.**

ამგვარ ბრალდებას, ცხადია, დამტკიცება სჭირდება. ვეცდები დავამტკიცო.

თავად ულტრები (ვიმეორებ, არა მხოლოდ ქართველები — ყველა) გმირობად და უაღრესად საჭირო — ხალხის გამომაფხიზლებელ საქმიანობად სთვლიან მათს მიერ პერესტროიკის დაწყების შემდეგ უთვალავი მიტინგ-მანიფესტაციის გამართვასა და სუპერმაქსიმალისტური ლოზუნგების წამოყენებას.

ოთხმოციანი წლების მიწურულში საჯარო აქციების მოწყობა რომ დიდი გმირობა არ იყო, ამას, მგონი, არ უნდა სჭირდებოდეს მტკიცება.

რაც შეეხება ხალხის გამოფხიზლებას. სხვა ხალხებისა არ ვიცი, მაგრამ ქართველობა „ზასტოის“ დროს ნამდვილად არ იყო „მძინარე“ ერი. ჩვენ ვიყავით პოლიტიკურად დამონებულნი მრისხანე სამხედრო ძალის მიერ (სხვათაშორის, იმ ძალამ ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ერებიც დაიმონა), მაგრამ ქართველობა ფხიზლობდა, ჰქმნიდა დიდებულ, ღრმადპატრიოტულ ხელოვნებას, იცავდა დედაენას, ეროვნულ სკოლას... თუმცა, ძალიან ღრმადაც რომ გვძინებოდა, მაინც არ იქნებოდა გამართლებული პერესტროიკის დაწყების შემდეგ ულტრათა მიერ გაჩაღებული გაუთავებელი მიტინგომანია და დემონსტრაციომანია. საჯარო აქციების პრიორიტეტზე ჩვენი ულტრების ორივე ბანაკი დღესაც არ იღებს ხელს. დიდმა ილიამ კი ისე გაალვიძა ლუარსაბებისა და დარეჯნების საქართველო, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, არასოდეს არცერთი მიტინ-დემონსტრაცია არ გაუმართავს. მან, 2ა წლის ჭაბუკმა დაბეჭდა პატარა სტატია „ცისკარში“, რომლის ტირაჟი სამასიოდე ცალს შეადგენდა და რომლის უავტორიტეტობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თვით ილია ამ ჟურნალს „ჯოჯოხეთის კარს“ უწოდებდა. მაგრამ გენიოსის ერთმა პატარა სტატიამ შეაზანზარა სალათას ძილს მიცემული საქართველო.

ულტრები კი (არამხოლოდ ქართველები, მთელი საბჭოეთის მასშტაბით) ბეჭდვით სიტყვას მხოლოდ ლოზუნგების ან ლოზუნგური ტექსტების დასასტამბად და ხალხის საჯარო აქციებზე მისაწვევი განცხადებების გამოსაყენებლად თუ იყენებენ. (ყველას გვახსოვს, ჩვენს პირველ არჩევნებში გამარჯვებულმა „მრგვალმა მაგიდამ“ ეკონომიკური კონცეფციაც კი... არჩევნების შემდეგ გამოაქვეყნა. სწორედ ამიტომ აზის ახლანდელ ხელისუფლების როგორ ეკონომიკურ, ისე სხვა გადაწყვეტილებებს აშკარა სპონტანურობის კვალი).

ულტრარადიკალებმა ვერც თავად შექმნეს პოზიტიური კონცეფციები და არც სხვა ძალებს მისცეს ამის საშუალება. რა კონცეფციებისა და სტრატეგიის შემუშავებაზე შეიძლება ფიქრი, როცა გონივრული ლავირებისა და გათავისუფლების ერთადერთი ბრძნული, თანდათანობრივი, ეტაპობრივი გზის ყველა მომხრეს გარანტირებული აქვს „სამშობლოს მოღალატის“ იარლიყი.

სწორედ ულტრათა ბრალია, რომ არ არსებობს მარქსიზმის ალტერნატიული მოძღვრება. ერთადერთი, რასაც დღევანდელი რევოლუციური აზროვნება სთავაზობს რიგით ადამიანს, არის ბუნდოვანი და სნობური წარმოდგენა-დაპირისპირებანი „დასავლურ ტბილ ცხოვრებაზე“. არ არსებობს არც თვით მარქსიზმის დანგრევის მწყობრი თეორია (დიახ, რაოდენ მახინჯი და უხეიროც არ უნდა იყოს შენობა, მის დანგრევას ცოდნა სჭირდება!). ამის შემდეგ გასაკვირია, რომ დემოკრატია მარცხდება კბილებამდე შეიარაღებულ (პირველყოვლისა თეორიულად კბილებამდე შეიარაღებულ!) რეაქციონერებთან?

ულტრარადიკალური სუპერმაქსიმალიზმი იმიტომაც არ იყო გამართლებული პერესტროიკის დამდეგს, რომ დემოკრატიული ძალები ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამდნენ, რეაქცია კი არაჩვეულებრივად ძლიერი იყო. იმ ეტაპზე გადამწყვეტ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას წინასწარვე არ გააჩნდა გამარჯვების შანსი. საჭირო იყო მაქსიმალურად გამოყენება „ზემოდან“ ჩამოშვებული გლასნოსტისა; სიმართლის თქმის საშუალება პირველყოვლისა ბნელი ძალების თეორიულად დასამარცხებლად უნდა გამოგვეყენებინა. ამგვარად, უნდა შეგვემზადებინა საფუძველი დემოკრატიის დამკვიდრებისათვის.

მაგრამ ულტრათა ლიდერებს თეორიული ბრძოლის არც უნარი აღმოაჩნდათ და არც სურვილი. მათ იგრძნეს, რომ ოფიციალურად ნებადართულმა გლასნოსტმა მისცათ პოლიტიკურ ასპარეზზე თვითდამკვიდრების შანსი და ყველაფერი გააკეთეს, რათა ეს შანსი ხელიდან არ გაეშვათ. მათ ესმოდათ, რომ ხალხს სწყუროდა კარდინალური გარდაქმნები. მაგრამ ხალხს არ ჰქონდა არც დემოკრატიული გამოცდილება და არც პოლიტიკური კულტურა. ამით აიხსნება, რომ ულტრათა ლიდერები, რომელთაც არ შეუთავაზებიათ არავითარი მწყობრი, საფუძვლიანი პროგრამა განთავისუფლება-აღორძინებისა, მაინც პოპულარულნი გახდნენ ხალხში. მთელი მათი ავტორიტეტი აგებულია გულზე მჯილის ბაგუნზე, ტრაფარეტულ ლოზუნგებსა, და რაღა თქმა უნდა, უტკბილეს დაპირებებზე. მაგრამ დაპირებებით ხალხს მუდამ ვერ გამოკვებავ. რევოლუციურ პათოსს სამარადჟამოდ ვერ შეინარჩუნებ. თუ დემოკრატიულმა ძალებმა ვერ შესძლეს [illegible] თავისუფლებელი [illegible] მოძღვრების შექმნა, განუწყვეტელი დაძაბულობით, აბსოლუტური დეფიციტით, ჰიპერინფლაციით დაქანცული ხალხი, შეიძლება დაუბრუნდეს იმ მოძღვრებას, რომელიც ლუკმაპურისა და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიას მაინც იძლეოდა — მარქსიზმს.

**ულტრარადიკალები,** როგორც ცნობილია, განაწყენებულნი არიან დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა ლიდერებზე, რომელნიც არ იზიარებენ ინფანტალური მაქსიმალიზმითა და სპრინტერული ტემპებით საბჭოთა იმპერიის დანგრევის შესაძლებლობას. ამისთვის ულტრები დასავლელ პოლიტიკოსებს ლამის კრემლის დამქაშებად აცხადებენ. უკანასკნელნი კი თვლიან, რომ ულტრათა პოლიტიკას უდის შეგნებული თუ შეუგნებელი პროვოკაციის სუნი.

მაგრამ ყველაფერს ულტრებს ნუ დავაბრალებთ. სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას. საქართველოში დღეისათვის შექმნილ მძიმე ვითარებასა და უფრო მძიმე სავარაუდო პერსპექტივაში ულტრებზე მეტად ზომიერ ძალებს, ინტელიგენციას მიუძღვის ბრალი; ულტრები, როგორც ყველა პოლიტიკური ძალა, იბრძოდნენ და იბრძვიან პოლიტიკურ ასპარეზზე თვითდამკვიდრებისათვის. ამაში დასაძრახი არაფერია. ინტელიგენცია კი დამნაშავეა, რომ აბსოლუტურად უბრძოლველად დაუთმო მათ სრული პოლიტიკური მონოპოლია. ჩვენი ინტელიგენცია შეუშინდა ულტრათა ენერგიულ, ზოგჯერ კი აგრესიულ ტონს, მათს იარლიყებს და მათდამი მაამებლური დამოკიდებულება აირჩია. (წინასაარჩევნო პერიოდშიც კი არცერთ ბლოკს არ გაუბედავს „მრგვალ მაგიდასთან“ სერიოზული პაექრობა).

ეს არის ერთი მიზეზი ინტელიგენციის სამარცხვინო მარცხისა არჩევნებში. მეორე მიზეზი კი აი არის მათი ყოვლად გაუმართლებელი დაქსაქსვა მრავალ ბლოკად და უამრავ პარტიად. ამ პარტია-ბლოკთა პროგრამებს შორის თვალხილული განსხვავება არ არსებობს. მათი დაარსების ერთადერთი „გამართლებაა“ მათივე ლიდერების სწრაფვა „პირველკაცობისაკენ“.

ულტრარადიკალებმა იოლად დაამარცხეს მფრთხალი და ამბიციური ინტელიგენცია. არც სალანძღავ სიტყვებს იშურებენ მათი მისამართით. ხოლო ინტელიგენცია თავის პროტესტს მხოლოდ ჩურჩულით გამოსთქვამს. ისტორიამ უთვალავი მაგალითი იცის იმისა, თუ რა სავალალო შედეგებს იწვევს ოპოზიციის ლიკვიდაცია (გინდ თვითლიკვიდაცია) და ერთი პოლიტიკური ძალის მონოპოლიურად გაბატონება. სწორედ ამან გამოიწვია ჩვენი თანამედროვე პოლიტიკური აზროვნების ზემოაღნიშნული ხარვეზები და ისიც, რომ საქმიანობის არსებითად ნებისმიერ სფეროში უდაბლეს დონემდე ეშვება პროფესიონალიზმი. და, თუმცა პროფესიონალიზმი საფუძველია ყოველგვარი აღმავლობისა, ამ საკითხზე (პროფესიონალიზმის ამაღლებაზე) სერიოზულად არც კი ვმსჯელობთ. სამომავლოდ უთუოდ უარესადაც გვექნება საქმე. პროფესიონალიზმის დონე კიდევ უფრო დამდაბლდება, რადგან ფაქტობრივად განადგურებულია ეროვნული საშუალო სკოლა და არც უმაღლეს სკოლას ადგას უკეთესი დღე. ჩვენ კი განათლების სისტემის აღორძინების არავითარი კონცეფცია არ გაგვაჩნია.

მძიმე მდგომარეობაა კადრების საკითხშიც. კონსტრუქციული ოპოზიცია რომ არსებობდეს, მის და ხელისუფლების პაექრობაში თავისთავად გამოჩნდებოდნენ უნარიანი, ლიდერის მონაცემების მქონე ადამიანები. მაგრამ ჩვენს პარლამენტში თავზარდამცემი ერთსულოვნება სუფევს. ამიტომ მაღალი დონის ხელმძღვანელთა შერჩევას ხშირად სრულიად შემთხვევითი ხასიათი აქვს. დარგთა ლიდერებად ხდებიან ადამიანები, რომელთაც ადრე არასოდეს უმუშავიათ ამ დარგში და არც სათანადო განათლება აქვთ.

(დასასრული მე-7 გვ.)

(დასასრული)

რა გასაკვირია, რომ ასეთ პირობებში საქმე (რეალურად და არა სიტყვით) არცერთ სფეროში წინ არ მიდის. ავიღოთ მაგალითად ყველასათვის საჭირბოროტო, ყოველნაირად საგრძნობი სფერო — ეკონომიკა. ცნობილია, რომ არცერთ რესპუბლიკაში არ არის ისეთი მაღალი ფასები, როგორც ჩვენთან...

ულტრარადიკალთა განხეთქილება და ზომიერ ძალთა კონფორმიზმი იწვევს სამოქალაქო ომის რეალურ ხიფათს. ულტრების ორი ბანაკის შერიგება შეუძლებელია, რადგან შეთანხმება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს კამათის საგანი. კონგრესისა და „მრგვალი მაგიდის“ პოლემიკას კი საგანი — ეკონომიკის, მრეწველობის, თავდაცვის, განათლების სისტემის თუ სხვა დარგთა პრობლემები — არ გააჩნია. ორი ბანაკი მხოლოდ იმას არკვევს უკვე წლიწადია, თუ რომელ ბანაკში არიან ჭეშმარიტი მამულიშვილები და რომელში — კრემლის ჯაშუშები. ამ საკითხზე კი შეთანხმება წარმოუდგენელია (მითუმეტეს, რომ არცერთ მხარეს არ გააჩნია იურიდიული საბუთები). განა რომელიმე მხარე როდისმე იტყვის, კი ბატონო, ამ ბანაკში ვართ კრემლის აგენტები, იმ ბანაკში კი დიდი მამულიშვილები არიანო?!.. ამიტომ ადრე თუ გვიან ეს პერმანენტული კონფრონტაცია შეიძლება გადაიზარდოს გლობალურ სისხლიან კონფლიქტში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუმცა დღეისათვის „მრგვალი მაგიდას“ მომხრეები მეტი ჰყავს, მაგრამ რესპუბლიკის მართვაში ამ ბანაკის წარუმატებლობის კვალობაზე, მისი მომხრეები შეიძლება კონგრესისკენ გადაიხარონ, რადგან სხვა უფრო ზომიერი და კონსტრუქციული ძალა ფაქტიურად არ არსებობს. ასე რომ, ულტრათა ორი ბანაკის მომხრეთა რიცხვი შეიძლება მეტნაკლებად გათანაბრდეს (თუმცა მომხრეები კონგრესს დღესაც საკმაოდ ჰყავს). ადვილი წარმოსადგენია, რა საშინელებად დაატყდება საქართველოს ეს შიდა ომი.

ქვეყანას, რომელსაც არ გააჩნია განვითარების, თავდაცვის, საერთოდ არაფრის თეორიული საფუძვლები; ქვეყანას, სადაც დაკნინებულია . პროფესიონალიზმი, მოშლილია განათლება; ქვეყანას, რომელსაც ხელმძღვანელობენ ძირითადად არაკვალიფიციური და არაკომპეტენტური კადრები; ქვეყანას, რომელსაც ემუქრება სამოქალაქო ომი — ყოველი მხრიდან გაუმრავდება მტერი. გავიხსენოთ, რომ ქართულ ნიადაგში ცოცხლობს მარქსიზმის ფესვები. გავიხსენოთ ავტონომიები, აგრეთვე ეთნოკრატიები (რომლებიც ჩვენ ფაქტობრივად განვამტკიცეთ). ისიც გავიხსენოთ, რომ იქმნება რელიგიური განხეთქილების წანამძღვრები...

მაგრამ მთავარი საფრთხე საქართველოს გარედან ემუქრება. მხედველობაში მყავს ნახევარი მილიონი „მესხეთელი“ თურქი, რომელთაც რამდენიმე ათეული მილიონი „თურქეთელი“ თურქის თანადგომა ეიმედებათ. ჩვენ ვთვლით, რომ თურქეთის მხრივ საფრთხე არარეალურია, რადგან ის უკვე ცივილიზებული ქვეყანაა, რომელსაც ჰყავს პროგრესული ლიდერი — თურგუთ ოზალი. ხოლო თუ თურქეთი მაინც გაბედავს და აღმართავს ხელს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, იმწამს აღსდგება მთელი დასავლეთის სამდარო და მკერდით დაგვიცავს.

საქართველო-თურქეთის ურთიერთმიმართება უდიდესი და ურთულესი საკითხია. ამჯერად მას მხოლოდ გაკვრით შევეხები, ხოლო ახლო მომავალში გამოვაქვეყნებ მასალებს, რომელთა გაცნობაც დაარწმუნებს საზოგადოებას, რაოდენ არამყარია დღეს თურქეთში დემოკრატიის პოზიციები, რა საშინელი ტემპებით იზრდება მაჰმადიან ფუნდამენტალისტთა რიგები, რომელთაც ერთხელ უკვე სცადეს თ. ოზალის მოკვლა, მაგრამ გულში დამიზნებულმა ტყვიამ მკლავში · გაუარა ამ ნამდვილად პროგრესულ მოღვაწეს.

გარდა ამისა, მე დავარწმუნებ საზოგადოებას, რაოდენ რეალურია თურქეთის (თუნდაც დემოკრატიული თურქეთის) მხრივ ჩვენდამი ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენება და რაოდენ არარეალური — დასავლეთის ქვეყნების მხრივ ჩვენთვის სამხედრო დახმარების გაწევა...

**მე** სულაც არ ვაპირებ ვინმეს შეშინებას. უბრალოდ, ვხელმძღვანელობ ძველი სიბრძნით — თუ უკეთესობა გსურს, უარესობისთვის ემზადე. განა მტკიცება უნდა სჭირდებოდეს იმას, რომ საჭიროა მოსალოდნელი საფრთხის ღრმად შესწავლა, გამოკვლევა?!..

საფრთხისაგან თავის დაზღვევა შეიძლება ვინმემ სიმხდალედ ან განმათავისუფლებელ ბრძოლაზე უარის თქმად ჩამომართვას. მე ვარ წინააღმდეგი არა საქართველოს თავისუფლების, არამედ იმ გზისა, რომლითაც დღეს მივდივართ თავისუფლებისაკენ, რომელიც უარჰყოფს საბრძოლო იარაღთა სრული არსენალის გამოყენებას და აბსოლუტურებს ერთადერთ იარაღს ულტრარადიკალურს. თავისთავად, ცხადია, ულტრარადიკალიზმიც საჭიროა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი კი არ ბოჭავს სხვა ძალებს, არამედ მტკიცე კავშირი აქვს მათთან დაყარებული.

აუცილებელია ზომიერმა ძალებმაც მტკიცედ და პრინციპულად თქვან თავიანთი სიტყვა. ამისათვის კი, პირველყოვლისა, საჭიროა მათი გაერთიანება მონოლითურ, მძლავრ ფრონტად (მადლობა ღმერთს, ზომიერ პოზიციაზე მდგომი პარტიებისა და ბლოკების პროგრამებს შორის არსებითი განსხვავება არ შეიმჩნევა), შემდეგ სრულიად დემოკრატიულად უნდა აირჩიონ კოლექტიური (აუცილებლად კოლექტიური!) ხელმძღვანელობა, შეიმუშაონ მემარცხენე-ცენტრისტული პროგრამა და მასზე დაყრდნობით შეუქმნან ხელისუფლება[illegible] ციული, სამართლებრივი [illegible]ცია.

მხოლოდ ზომიერ და რადიკალურ ძალთა ამგვარი პაექრობით შეიძლება იშვას ჭეშმარიტება, რომელიც გახდება საწინდარი ჩვენი ეროვნული მოძრაობის კონცეპტუალური საფუძვლების გააზრების, იმ თეორიული მოძღვრების და საბრძოლო სტრატეგიის შემუშავებისა, ურომლისობაც დღეს ესოდენ გვაზარალებს. კონსტრუქციულ პაექრობასა და თეორიულ განსჯაში თავისთავად გამოჩნდება ნიჭიერ ლიდერთა ახალი თაობა, რომელიც მხარში ამოუდგება უკვე აღიარებულ ლიდერებს. (სხვათაშორის, ლიტვაში ცოტა ხნის წინ ორგანიზაციულად გაფორმდა ოფიციალური ხელისუფლების ოპოზიციური კავშირი — ლიტვის მომავლის ლიგა).

თუ ყოველივე ეს არ მოხდა, თუ შენარჩუნდა ულტრარადიკალთა მონოპოლია, ეს გამოიწვევს (უსათუოდ გამოიწვევს — ამას გვიდასტურებს კაცობრიობის მთელი ისტორია!) ეროვნული მოძრაობის აბერაციას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსადმი დამბლის დაცემას და ოდიოზური დიქტატურის დამყარებას, რის აშკარა ნიშნებს დღეს ყველა ვხედავთ. საბოლოო ჯამში კი საქართველო უსათუოდ გახდება შიდა და გარე მტერთა საჯიჯგნი.

აი, საით მიჰყავს საქართველო ულტრარადიკალთა, ანუ ყოფილ არაფორმალთა პოლიტიკას.

# სისხლიანი პარასკევი

**მალე გამოვა ბატონ ნოდარ ნათაძის ბროშურა „სისხლიანი პარასკევი“, მიძღვნილი 1956 წლის 9 მარტს თბილისში საბჭოთა არმიის მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტვისადმი.**

**გთავაზობთ ამ ბროშურის დამამთავრებელ ნაწილს.**

**მთავრობას** არავითარი მობოდიშება არ უცდია (თუმცა სტუდქალაქში, რომელიც გამოსვლის ცენტრად ითვლებოდა, ამის შემდეგ კარაქი გაჩნდა). უფრო მეტიც. მოსკოვიდან ჩამოსულმა ჯგუფმა, რომელიც რეპრესიას ხელმძღვანელობდა, საჭიროდ ცნო, ხალხისათვის აქეთ შემოეტია და აქა-იქ, ჩვეულებისამებრ, დამაშინებელი კრებები ჩაატარეს. უნივერსიტეტში ასეთ კრებას დაესწრო ვინმე შიკინი, რომელსაც რეპრესიის მთავარ ფიგურად თვლიდნენ. თუ არ ვცდები, ეს ის პირი იყო, ვინც რამდენიმე თვის შემდეგ უნგრეთში ჩატარებულ რეპრესიებში არც თუ უმნიშვნელო როლი ითამაშა. სხვათა შორის, რუსების მიერ თბილისში გამოყენებული ტაქტიკა გარკვეულწილად იქაც განმეორდა, ნოემბერში, დასავლეთის რადიოს რომ ვისმენდი, მენიშნა, რომ ბუდაპეშტის ქუჩებში ტანკები მუხლუხებით მოქმედებდნენ, მაგრამ არ ისროდნენ.

**ერთი** რამეც მინდა შევნიშნო. თბილისში მომხდარი ხვრეტიდან არც თუ დიდი ხნის შემდეგ ნოვოჩერკასკშიც ესროლეს ეკონომიკური მოტივებით გამოსულ ხალხს, როგორც ამბობდნენ, იმ ოპერაციის ჩამტარებელმა ოფიცერმა ოპერაციის დამთავრების შემდეგ თავი მოიკლა (რამდენად მართალია ეს, არ ვიცი). თბილისში, ცხადია არც ერთ ოფიცერს თავი არ მოუკლავს. როგორც ზემოთ ვთქვი, ჯარისკაცებსაც და ოფიცრებსაც უხაროდათ სროლა — ეს იყო მთავარი დაკვირვება, რომელიც მე მთელი იმ საღამოს ამბებიდან გამოვიტანე. თბილისში მოსახლე რუსების ერთი ნაწილი რეპრესიას მხარს უჭერდა (ანდა ჩუმად იყო). ამბობდნენ, თითქოს ამ სულისკვეთების ფრაზები ეთქვას ვინმე ბერმისტროვსაც, გრიბოედოვის სახელობის ულტრაპროვინციული თეატრის უნიჭო პრიმასა და მჟავანაძის მეგობარს. რუსისაგან ქართველების სამძიმრის გამოცხადების შემთხვევა ამ ხვრეტის გამო არ გამიგია.

დასასრულ, ორი სიტყვა უნდა ვთქვა ამ ამბების არამატერიალური, არახელშესახები მხარის თაობაზეც. პატიმრობიდან რომ გამოვედი 16 მარტს, მეგობრები მეუბნებოდნენ, ყველაზე უარესი შენ არ გინახავსო. ეს იყო 10 მარტი, როცა თბილისის ქუჩებში შეჯავშნული და შეუჯავშნავი მანქანებით დადიოდნენ და მოკლულ, გატრუნულ ქალაქზე თავისი ბატონობის დემონსტრირებას ახდენდნენ. როგორც ზემოთ ვთქვი, თუ 9 რიცხვში გამოსვლები არ შეწყდებოდა, 10 მარტიდან ქალაქი უნდა დაებომბათ და, ამდენად, ჯარისკაცებისათვის ეს პატრულირება ისევ ოპერაციის ნაწილი იყო ალბათ. მაგრამ ქალაქისათვის ეს გამოსვლა უკვე დამთავრებული იყო და მხვრეტავთა ეს პატრულირება მხოლოდ ამ უცხო და ბოროტი ძალის დამთრგუნველსა და შეურყეველ ბატონობას ასახიერებდა. კავშირგაბმულობის სახლთან, უშიშროების კომიტეტის ასახვევთან, რომელიც ჯარის მიერ იყო შეკრული, მთელი დღე იდგნენ თურმე ქართველი ბიჭები, ხუთასიოდე კაცი (ალბათ, იცვლებოდნენ შიგადაშიგ). იდგნენ პირქუშად და მდუმარედ, ამჯერად უკვე გაუცინარი მეავტომატეების პირისპირ. იდგნენ იმიტომ, რომ ყოყმანობდნენ, კიდევ ერთხელ შეეტიათ თუ არა უპერსპექტივოდ და უიმედოდ, შენობისა და უზნისათვის და უმიზნოდ დაღვრილ სისხლზე თავისიც ზედ დაერთოთ. დროდადრო აქეთ მდგომებში რაღაც მოხდებოდა, თითქოს რაღაცა მუხტი გავრცელდებოდა, მჭიდრო ბრბო დაიძაბებოდა და მოზიდული კუნთივით შეიკვრებოდა. მაშინ ჯარისკაცებიც ავტომატებს გადმოიღებდნენ და დაიძაბებოდნენ. რამდენიმე ხმის შემდეგ დაძაბულობა გადაივლიდა და ატმოსფერო განიტვირთებოდა ხოლმე, იმის სიტყვით, ვინც ეს მიამბო, ეს მდგომარეობა დაღამებამდე გაგრძელდა.

პატიმრობიდან გამოსვლის მეორე დღესვე კინოში ვიყავი ძერჟინსკის კლუბში, იმავე შენობაში, საიდანაც წინადღით გამოვედი. მახსოვს, მაფორიაქებელი სიხარული და შვება, რომელიც ჩემში მხოლოდ იმიტომ კი არ ზღვავდებოდა, რომ გადარჩენილი ვიყავი და სიცოცხლეს ვგრძნობდი, არამედ სხვა, უფრო ღრმა მიზეზიც ჰქონდა: ფოიეში იგივე ჩვეულებრივი თბილისელი მასა იყო, რომელსაც ვიცნობდი, რაც თავი მახსოვდა, და რომელშიც გამოუსწორებლად თავდახრილსა და განადგურებულ ადამიანებს ვხედავდი მუდამ, იმის ნაცვლად, რისი დანახვაც მინდოდა. სრულებით გულახდილად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრების მმართველი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გრძნობა ეს იყო. ახლა მისგან თავისუფალი ვიყავი. ახლა ნამდვილად ვიცოდი, რომ ეს მასა — კაცი თუ ქალი, — სხვა იყო, ვიდრე მანამდე ჩანდა — ღვაწლისა და გმირობის ჩადენა შეეძლო.

ეს განწყობილება მხოლოდ ჩემი არ იყო და იგი ბევრი რამის ამხსნელია, სხვათაშორის, იმისაც, რომ არც გლადკოვის, არც მაკუშევის სიკვდილით დასჯის ცდა არავის მოუხდენია. რა თქმა უნდა, ამას ისეთი ორგანიზება დასჭირდებოდა, რომელიც მხოლოდ მგლოვიარე მშობლებისა და ნათესავების შესაძლებლობათა ფარგლებს სცილდებოდა. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდია. მართალია, აქა-იქ ახალგაზრდული ორგანიზაციები გაჩნდა ხვრეტის პასუხად (ხაშურში, ყაზბეგში, ზუგდიდში, რამდენადაც ვიცი), მართალია, ქართველების ქცევა ქუჩაში, სტადიონის მისასვლელთან, რომელსაც ჯარისკაცები დარაჯობდნენ, თუ სხვაგან, ისევე, როგორც რუსების ქცევა ქართველებთან (რაც კარგად მახსოვს) იმის უტყუარი საბუთი იყო, რომ ხვრეტას ქართველების დაშინება ან რუსების გათამამება არ გამოუწვევია. მაგრამ ის მასობრივი გრძნობა შეურაცხყოფისა და რევანშის მოთხოვნილებისა, რომელსაც **სირცხვილი** და დამარცხება ბადებს, ჩვენში არ გაჩენილა. ცხოვრების მთელი წესი, პიროვნებისა და სახელმწიფოს, საქართველოსა და იმპერიის დამოკიდებულება, რასაც ხალხი 35 წლის მანძილზე შესჩვეოდა, იმგვარი იყო, რომ მიუხედავად მუქთად დაღებული უზარმაზარი მსხვერპლისა, ხალხის უდიდესი ნაწილი ამ გამოსვლებს, თავის გულის სიღრმეში, **გამარჯვებად** თვლიდა („ეს რა გავბედეთ და როგორ შეგვრჩა, არ გაგვასახლეს და ვერ გაგვასახლესო“). შესაძლოა, ამ ახსნას ბევრი არ დაეთანხმოს, მაგრამ მე იგი მაინც, ჩემი უშუალო შთაბეჭდილებითა და ფხიზელი აწონდაწონით, ყველაზე უფრო სწორი მგონია. რას იზამთ, მონობას თავისი კანონები აქვს და მისგან გამოსვლის ფსიქოლოგიურ პროცესსაც, ალბათ, თავისი კანონები.

ერთი წლის შემდეგ, ხრუშჩოვმა რომ საქართველოში ჩამოსვლა გაბედა, ერთი პატარა ჯგუფი მისი მოკვლის ორგანიზაციას ცდილობდა (და დაპატიმრებულ იქნა). მე მგონი, რომ იმ ადამიანთა მოტივი სწორედ ამ ფსიქოლოგიური ინერციის ტყვეობიდან გამოსვლის სურვილი იყო.

აღწერილ ამბებთან დაკავშირებული რიგი გარემოებები შემდეგში გავიგე და მათი აღნიშვნაც საჭიროდ მიმაჩნია, ერთი ისაა, რომ მითხრეს (და მჯერა), რომ თბილისის ხვრეტის ორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო საბაბის პოვნა ეროვნული სამხედრო ნაწილების დასაშლელად. მართლაც, ქუთაისში მდგომი ქართული დივიზია ორი თვის შემდეგ დაშალეს, აგრეთვე სხვა ეროვნული ნაწილებიც სხვა რესპუბლიკებში. საყურადღებოა (ეს ადრეც მსმენოდა), რომ ამ დივიზიის ქართველ ოფიცრობას სრული ილუზია ჰქონდა, თითქოს თბილისის აღება შეეძლო. ილუზია, რომ ანგარიშგასაწევი ყოფილა, იქიდან ჩანს, რომ სურამის უღელტეხილზე იმ დღეებში ავიადესანტო დივიზია იყო დისლოცირებული დასავლეთ საქართველოს საიზოლაციოდ. ეს ვიცი აწ განსვენებული რეზო კვიქინაძისაგან, რომელიც სამხედრო „შეკრებაზე“ იყო იმ დივიზიაში რამდენიმე წლის შემდეგ. მითხრეს ისიც, რომ ინფორმატორები, რომლებიც სანაპიროს უბნიდან ძეგლთან გამართული მიტინგის შესახებ ცნობებს აწვდიდნენ „ზემოთ“, მჭედლიშვილს ურეკავდნენ. ისიც მითხრეს, რომ ცეკას შენობაში სხდომაზე, როდესაც სამხედროები დაწოლას ახდენდნენ მჟავანაძეზე, რათა მისგან სროლის დასტური მიეღოთ (რაც რატომღაც პროცედურას სჭირდებოდა), მასთან შეაგდეს მიტინგიდან წამოყვანილი ერთი ახალგაზრდა, რომელიც ზემოთ ვახსენე და ათქმევინეს, ბრბო კავშირგაბმულობის სახლს უტევსო, რის შემდეგაც მჟავანაძემ თქვა „რას იზამ, მოგვიხდება სროლაო“. (რამდენად ზუსტია ეს ყველაფერი, ცხადია, არ ვიცი). თვით თემო ბადურაშვილზე ორი ჩემთვის გასაკვირი რამ გავიგე. ა. სულხანიშვილის მოგონებებიდან შევიტყვე, რომ იგი პატრიოტობით გამორჩეული და სახელოვანი ოჯახის ნაშიერი ყოფილა. ბიძამისი ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის ერთ-ერთი გამოჩენილი მებრძოლი ყოფილა, პაპა კი — ჩოლოყაშვილის მოკავშირე, რომელიც მზად იყო, თავისი ოთხივე ვაჟი სამშობლოსათვის შეეწირა. მითხრეს ისიც, რომ თ. ბადურაშვილის კომკავშირული კარიერა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის ნ. კეცხოველის უშუალო მითითებით დაწყებულა, რისთვისაც, საფიქრელია, სათანადო მითითება ზემოდან მიიღო. საკითხავია: ხომ არ იმუშავა რომელიღაც მაღალმა ინსტანციამ სპეციალურად იმისათვის, რომ იმ პატრიოტი ოჯახის შთამომავალი საქართველოს მტრად გაეზარდა?

მითხრეს ისიც, რომ გლადკოვი, რომელმაც გენერლობას მიაღწია, პატივით დამარხეს მოსკოვში. არც ხრუშჩოვის, არც ჟუკოვის სახელს ამ ხვრეტის გამო ჩრდილი არ მისდგომია არც საბჭოთა კავშირის რომელიმე ინსტანციის, არც მსოფლიოს რომელიმე ორგანიზაციის თვალში. მომხდარი ამბების გამო ვინმესათვის არა თუ ბრალის წაყენების, არამედ საყვედურის თქმის შემთხვევაც მე დღემდე არ მსმენია. ამიტომ არც ამ ორი წლის მანძილზე გამკვირვებია, 9 აპრილის სისხლი ან სსრკ შეიარაღებულ ძალთა მიერ სხვაგან დაღვრილი სისხლი გორბაჩოვისათვის რომ არავის მოუკითხავს და არც სხვა, უფრო დაბალი რანგის დამნაშავე დაუსჯია ვინმეს.



# სამშობლოს იცავს „იმედი“

ზვიადმა იცით ალბათ, რომ საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“, როგორც სტრუქტურული ერთეული, ეროვნულ გვარდიაში გაერთიანდა.

„იმედი“ არის საქართველოს პატრიოტთა, საქართველოს შვილთა სპორტულ-საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას. გააძლიეროს ერის ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე, აღზარდოს სამშობლოს ღირსეული მამულიშვილები, განავითაროს მათში ვაჟკაცობა, კაცთმოყვარეობა, გამბედაობა, მოამზადოს ქართველი ხალხი ფიზიკურად და მორალურად მრავალწლიანი ბრძოლისათვის ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად.

ასოციაციის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი დაცვა.

„იმედი“ ორი წელია რაც არსებობს და ამ ცოტა ხანშიც შესძლო მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება. იგი თავის ამოცანად მიიჩნევდა და მიიჩნევს ეროვნული ჯარის შექმნას და მთავრობისათვის ხელისშეწყობას საქართველოს თავისუფლების მოპოვებისა და მისი შემდგომი დაცვის საკითხებში. ამ მიზნით ასოციაციამ დაარსა ეროვნული სამხედრო სასწავლებლები და ფილიალები, შექმნა სპორტულ-საზოგადოებრივ-პატრიოტულ-სტრუქტურული. ერთეულები და მათ წევრებს ამზადებს, როგორც ფიზიკურად, ასევე თეორიულად და ზნეობრივად.

ასოციაცია „იმედს“ იმთავითვე გააჩნდა თავისი საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, წესდება, პროგრამა და „იმედის“ ნამდვილ (ფიცმიღებულ) წევრთა მიერ შექმნილი, მკაცრად ცენტრალიზებული, მტკიცედ შეკრული სამხედრო ტიპის ორგანიზაცია „თეთრი ლაშქარი“, რომელსაც თავის მხრივ გააჩნია საკუთარი წესდება, მიზნები და ამოცანები, რაც შემდეგში გამოიხატება — „თეთრი ლაშქარის“ უპირველეს მიზანს წარმოადგენს საქართველოს საოკუპაციო ჯარის გასაყვანად და მისი სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად ბრძოლა. მკაცრად დისციპლინებული სამხედრო ფორმირების შექმნა და ამით, ქართული ეროვნული არმიისათვის ბაზის მომზადება. საქართველოს მთლიანობის, მისი დამოუკიდებლობისა და ღირსების დაცვა. ლაშქრის საქმიანობა მისი შემადგენლობის გარეთ სავსებით გასაიდუმლოებულია.

ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ საწინამძღვროს თავკაცია დავით ხომასურიძე.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრემდე ეროვნული გვარდია შეიქმნებოდა, „იმედმა“ რამდენჯერმე თხოვნით მიმართა საქართველოს უზენაეს საბჭოს, ჩაერთო იგი საქვეყნო საქმეებში. ამ დროისათვის „იმედს“ უკვე კარგად შეკრული, საკმაოდ გაწვრთნილი, მომზადებული სადესანტო — მოიერიშე და საგანგებო დანიშნულების ასეულები ყავდა.

დღეისათვის „იმედი“ ეროვნული გვარდიის შემადგენლობაშია, მაგრამ მას აქაც თავისი პროგრამა, წესდება და თვითმყოფადობა აქვს შენარჩუნებული. ამდენად, „იმედი“, ფაქტიურად ის ერთ-ერთი ქართული გასამხედროებული ერთეულია, რომელიც შეგნებულად, სრული სამხედრო სწავლებითა და წვრთნით ჩადგა იმთავითვე საქართველოს დამცველთა რიგებში.

სადესანტო-მოიერიშე ნაწილისათვის ეროვნულმა გვარდიამ „იმედს“ დოსააფის ბოლნისის საფრენოსნო ბაზა გამოუყო, სადაც მიმდინარეობს საავიაციო ტექნიკის ათვისება და საპარაშუტო-ნახტომების დაუფლება. „იმედს“ დალაშქრული აქვს კავკასიონის ქედის ფრიად მნიშვნელოვანი და საგანგებო დანიშნულების წერტილები და შედგენილი აქვს სპეციალური რუკა. კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე უკეთებიათ იმედელებს, მაგრამ ამჯერად გვინდა ამ ვაჟკაცების შესახებ მოგიყვეთ, როგორც უკვე სამაჩაბლოს დამცველებზე.

ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენ შევხვდით „იმედის“ საწინამძღვროს თავკაცს დავით ხომასურიძეს და მის წევრებს, სოსო ხელაშვილსა და დავით გაგნიძეს, რომლებიც უშუალოდ იბრძვიან სამაჩაბლოს დასაცავად.

დღითი-დღე შემაძრწუნებელი ამბები მოდის ცხინვალის მხრიდან. ძნელი იყო ჩვენთვისაც ამ ამბის მოსმენა, რასაც ეს გულადი და გონიერი ბიჭები გვიყვებოდნენ, მაგრამ სათქმელი ყოველთვის უნდა ითქვას და თანაც დროულად, რომ საჭირო გადაწყვეტილებამ არ დაიგვიანოს, შედეგი სასურველი გვქონდეს. ამიტომ გადმოგცემთ იმას, რაც ბიჭებს გადახდენიათ თავს და რისი მონაწილენი თვითონ არიან.

„ჯარი, ეგრეთწოდებული საბჭოთა — ჯერ მარტო (ეს საუბარი გასული კვირის ბოლოს შედგა) ცხინვალშია. შედგება იგი მილიციის საგანგებო დანიშნულების განყოფილებისაგან („ომონი“), სადესანტო ნაწილებისაგან, როსტოვის საგანგებო დანიშნულების რაზმისაგან — ერთი სიტყვით, 9 ათრილის ჯალათებისაგან. თითქმის საგანგაშო მდგომარეობაა, რადგან ყოველ ღამით ახალი და ახალი შევსება ემატებათ ამ პროფესიონალ ჯალათებს.

ჩვენს ოცეულს დაკავებული აქვს ყველაზე მაღალი წერტილი ლიახვის ხეობაში. სოფელ სვირსა და ცხინვალის დანარჩენ ბოლო სოფლებთან. სულ რვა ქართული სოფელია ამ წერტილში. თვეზე მეტია ამ პოზიციას ვამაგრებთ. ყოველი ათი დღის შემდეგ იცვლება ოცეულები, მაგრამ ამყამად ვინც იქ არიან, თითქმის განწირულები არიან. რატომ? ჩვენც გვიჭირს ამის წარმოდგენა, მაგრამ ეს გარდაუვალი იქნება ალბათ. ჩვენი ბიჭები შეგუებულნი არიან იმ აზრს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სამშობლოსათვის შეიძლება მოუწიოთ სიკვდილი. ამიტომ იქ დგომა ადვილია იმ გაგებით, რომ კონკრეტულად საკუთარ თავზე სცდი სამშობლოს ყველაზე ძალუმ შეგრძნებას. ჩვენ ეხლა შეგვცვალა სხვა ოცეულმა, მაგრამ თუ ქვევიდან ჯარი გადავიდა შეტევაზე, ზევიდან აუცილებლად წამოვლენ ოსები და ბიჭები განწირულნი გვყავს. რომ წამოვიდნენ, ეს რვა სოფელი დაუცველი უნდა დარჩეს, ღვთის ანაბარად. ამას კი ჩვენი ბიჭები არ იზამენ. ესე იგი, ყველა შემთხვევაში თავგანწირვაზე მიდიან. ველოდებით, რა ზომებს მიიღებს ჩვენი ხელისუფლება. ეს მართალია, პოლიტიკოსების საქმეა და არა ჩვენი, ჯარისკაცებისა, მაგრამ ქართულ მოსახლეობასა და ქართულ ჯარზე ფიქრი ძალზე საშური საქმეა.

ჩვენ ჯარისკაცები ვართ, მაგრამ საბოლოოდ მაინც სიტუაციებზე დაყრდნობილნი. თუმცა კი ეჭვი არც ერთს არ გვეპარება, რომ შევძლებთ საქართველოსთვის თავგანწირვას.

რა ხდება იქ, ლიახვის ღრმა ხეობაში? ომია, ჩვეულებრივი ომი, რომელშიც ადგილობრივი ქართული მოსახლეობა სათანადოდ ვერ იღებს მონაწილეობას, უიარაღობის გამო. რამდენიმე თვეა უიარაღობით გულზე სკდებიან იქაურები. ამ რვა სოფელში კარგახანია ბევრი სახლის კარიც არ გამოღებულა. შიგნით სახლებშია ზოგიერთი ოჯახი შეკეტილი და რას ჭამენ, რას სვამენ, როგორ ირჩენენ თავს, ღმერთმა იცის.

არის სოფლები, სადაც ადამიანს კი არა, ღორს და ქათამს რომ დაინახავენ ეზოში, იმ წუთში კლავენ. ჩვენს იქ მისვლამდე ასეთი შემთხვევებიც ყოფილა. მაღლობ სერზე გადმოდგებოდნენ თურმე ოსები და დამტვრეული ქართულით უძახდნენ გულდათუთქულ ქართველებს — „პლენებო, როდემდე იქნებით აქ, ვიდრემდე წიწილებივით სათითაოდ არ დაგხოცავთო“, დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ უიარაღო ქართველებს.

სვერში ერთ-ერთ ოჯახს დასხმიან თავს და უბრძანებიათ, სუფრა გაგვიშალეთ, სასწრაფოდ გვაქეიფეთ, თორემ დედაბუდიანად გადაწვავთო. ჩვენი მისვლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ომი გაჩაღდა, ჩვეულებრივი ომი. და შეკეტილია ხალხი სახლებში. სხვა გამოსავალი არა აქვთ. შიშველი ხელით ვერ მოგვეშველებიან, ვინც წამოვიდა, ლტოლვილია, მას კიდევ რა უჭირს. არის იქ ხალხი, რომელიც შეგნებულად არ გამოერიდა ტყვიას. ბავშვებიც იქა ჰყავთ, ცოლ-შვილი, იმ ბავშვების საცოდაობით ვიწვით. არც საჭმელი, არც სასმელი. განა რამდენხანს გასწვდება ერთ ოჯახს სახლში არსებული მარაგი? ისინი ხომ შეკეტილები არიან. ეზოში ჰაერზეც ვერ უშვებენ ბავშვს სათამაშოდ. განუწყვეტლივ სროლაა, მაგრამ მაინც იქ არიან ქართული ოჯახები. ეს უჩინარი გმირები არიან. ავტომატების, ტყვიამფრქვევების, რაკეტების ხმაურში ახერხებენ ცხოვრებასა და ძილს პატარა სამაჩაბლოელი ქართველები, როგორ არ შესწირავ თავს მათ ბედნიერ მომავალს. ეს თვითოეული ჩვენგანის ვალია.

ჩვენ არასოდეს გადავსულვართ თავდასხმაზე, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ ვიცავთ ქართულ სოფლებს და ვიცავთ თავს... არ შეწყვეტილა ტყვიის წვიმა. ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მაინც სვერელები არიან. სვერის მეურნეობის ფერმიდან 300 სული საქონელი წაასხეს ოსებმა. სამიზნეში ჰყავთ თითოეული მოსახლის ეზოყური. ხოცავენ ყოველგვარ შინაურ ცხოველს და ფრინველს. ტყვია თუ ვერ მიაწვდინეს, შიმშილით უნდათ ქართველები ამოხოცონ. გაზაფხული მოვიდა და ხალხი გარეთ ვერ გამოსულა საბოსტნეების დასამუშავებლად. წელს კიდევ რა გვიჭირს. ცოტ-ცოტას თავს გავიტანთ. მიწა დაგვრჩება დაუმუშავებელი — მერე რა ვქნათ, რით გამოვკვებოთ ოჯახებიო, — საგონებელშია ხალხი ჩავარდნილი. მეზობლები ერთიმეორეში ვერ გადიგამოდიან. დაახლოებით 60-70 ოჯახია ასეთ ყოფაში. ჩვენ რომ არ მივსულიყავით, ისინიც წამოვიდოდნენ, ახლა, ჩვენი შემყურეები, გულს იმაგრებენ და თავს იიმედებენ. საქართველოს მთავრობისაგანაც ელიან გადაწყვეტილებას. უძლებენ ოსების შემოტევას, ყოველგვარ დამცირებას და ხოცვა-ჟლეტსაც კი. ყველაფერს ითმენენ პატარა ქართველებიც. ეს ძალზე ძნელია საყურებლად, გადმოსაცემად ხომ მით უფრო. ერთხელ ჩვენი მილიციის შენაერთებს გაუბედავთ აქ, ამ მიდამოებში ამოსვლა და იმავე დღეს უკან ჩამობრუნებულან, თურმე მართლა ომია, აქ როგორ გავჩერდებითო. როდემდე გაუძლებენ ეს ოცეულები, ამას უკვე სიტუაცია და პოლიტიკური მსვლელობა გვიჩვენებს.

ჩვენი ბიჭები კარგად გაწვრთნილები, ზუსტად მსროლელები არიან. მაგრამ ამ ბოლო დროს უკვე გვიჭირს, აშკარად გვიჭირს, რადგან ადრე თუ სამხედრო გამოცდილების თვალსაზრისით ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო, ახლა ჩანს, ოსებს გაუჩნდათ სამხედრო ინსტრუქტორების მსგავსი ვილაცეები. რადგან ადრე მხოლოდ ისროდნენ, უბრალოდ ტყვია-წამალი ბლომად ჰქონდათ და ისროდნენ შეუჩერებლივ. ახლა მიზანში ისვრიან, რაღაც მობილიზებული სახე მიიღო მათმა თავდასხმებმა. გვქონდა უკვე შემთხვევა, რომ ბარიკადებზე თუ სანგრებში სულ ოდნავ ჰუჰრუტანაშიც რომ შესძლეს მიზანში მოხვედრა. აქ სასანგრო ბრძოლა მიმდინარეობს, არავის ეგონოს მარტო ბარიკადები გვაქვს მოწყობილი. სამი ჯგუფის გამოყოფა შეგვიძლია, ძალზე აქტიურის და ნეიტრალურის. ნეიტრალური არ ნიშნავს, რომ ის ჩვენს პოზიციას დაიკავებს ოდესმე, არა, უბრალოდ იარაღი არა აქვთ და ვერ გვესვრიან. მათაც რომ მისცემენ, ალბათ, ეს მესამე ჯგუფიც შემოგვიბრუნდება. ყველაზე ცხარე ბრძოლა 31 მარტს გაიმართა. ოსებმა იმ ღამეს 19 რაკეტა გვესროლეს და აგვაფეთქეს. ადრე. რაკეტებს უბრალოდ ისროდნენ, ახლა ეს რაკეტები მიზანს აღწევს უკვე და ფეთქდება კიდეც. ისწავლეს თუ ასწავლეს, თუ უფრო უარესიც, ვინმე ისვრის მათ ნაცვლად, დაუდგენელია. ფაქტია, რომ სამხედრო სწავლება იგრძნობა შემოტევებისას. ზუსტად 31-ში სწორედ ის ხალხი აგვიფეთქეს, ერთ-ერთ სოფელში სადაც ხმის მისაცემად უნდა მისულიყო ხალხი. ფაქტიურად საარჩევნო უბანს დაუმიზნეს რაკეტები და მიზანსაც მიაღწიეს, თანაც ადრე რომ რაკეტებს გვესროდნენ, ახლა ისინი აღარ არის. ეს სულ სხვა სისტემის, დღემდე უცნობი რაკეტებია.

ყველაფერი გაიუმჯობესეს ოსებმა, ყველანაირი ხელშეწყობა აქვთ ჯარის მხრიდან. ვერაფერს გეტყვით, რა იქნება ხვალ და ზეგ. რა მოხდება, ეს ჯერ არავინ ვიცით, არც განსაზღვრა შეგვიძლია. ჩვენ თავს ვიცავთ, ჩვენ ყველაზე უნუგეშოდ დარჩენილ ქართულ სოფლებს ვიცავთ. დავიცავთ მანამდე, სანამ ცოცხლები ვიქნებით. სხვა ჩვენ მეტი არაფერი ვიცით. ჩვენ ჯარისკაცები ვართ, მარტოდენ სამშობლოს დამცველები.




კოოპერატივ „გარანტია-90“-ის თავმჯდომარემ ვაჟა დალაქიშვილმა საქართველოს სახალხო ფრონტის ანგარიშზე მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში ჩარიცხა 10.000 მანეთი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს სახალხო ფრონტის ანგარიშია 100700307.

მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკის განყოფილება.

სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად.



ფასი 60 კაპ.

ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 25. ტელ.: 22-16-01.

იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოში“

რედაქტორი ნოდარ ნათაძე